186
1967

186

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

57

№ 1

იანვარი — თებერვალი

1967 წ.

10502

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1967 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ
2. საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ
3. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ
4. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების გაძლიერების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

5. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტაციური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შექმნის შესახებ
9. ქართული ღვინოების ასორტიმენტის და მათი სახელწოდების დაზუსტების შესახებ
10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილების 1-ლ პუნქტში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 579 და 1958 წლის 22 ივლისის № 453 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
12. ძეგლების დამზადება-დადგმის, აგრეთვე ამ მიზნებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის საქმეში არსებული დარღვევებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ
13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ
14. იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან ცდის სახით საბინაო კომუნალური მეურნეობის ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ
16. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ
17. იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ 1967 წელს საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საცხოვრებელი ფართობი საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამტკიცების შესახებ
19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება — რეალიზაციის მთავარი სამმართველოს („საქმთავარხილბოსტანდამზადების") დებულების დამტკიცების შესახებ
20. „ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის № 762 დადგენილების დამატების თაობაზე.
21. მერქნის ძირზე გაცემის წესის შესახებ
22. პამიდორისა და თვისბოლოკის შესასყიდი ფასების შემცირების შესახებ.
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ებ ი

1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 დეკემბრის № 970 დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკაში შრომითი რესურსების განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი.

2. დამტკიცდეს პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 24 იანვარი № 32

2 საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების, ქართველ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1966 წლის 11 აგვისტოს მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადო-

ებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და განათლების სამინისტროს:

— შემოიღონ 1967-1969 წლებში სოფლის ყველა რვაწლიან სკოლაში, სადაც არ არის გამოყოფილი საკმაო რაოდენობის საათები ფიზიკური აღზრდისათვის მასწავლებელთა სრულ სასწავლო დასატვირთავად, ფიზიკური კულტურის მასწავლებლის თანამდებობა და იმავდროულად დააკისრონ მას კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა;

— გაითვალისწინონ 1967 წლიდან, რომ გაუდიდდეთ სკოლებს ასიგნობანი სპორტულ-მასობრივი მუშაობისათვის, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად;

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა განსაზღვრონ, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, იმ სპორტულ ნაგებობათა ნუსხა, რომლებიც საჭიროა, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, და მიიღონ ზომები, რათა შეიქმნას მათში ორი-სამი წლის განმავლობაში სიბრტყითი სპორტული ბაზები და ქალაქები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური აღზრდის პროგრამის შესრულებას.

დაწესდეს, რომ მშენებარე სკოლები, სასწავლებლები და ტექნიკუმები უნდა გადაეცეს საექსპლუატაციოდ მათთვის გათვალისწინებული სპორტული ნაგებობებით.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, ქალაქ ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, გორისა და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გამოძებნონ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშათა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, იმის შესაძლებლობა, რომ შეიქმნას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებში ფიზიკური აღზრდის განყოფილებები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, ქალაქ ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის და ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებებში შემოიღონ ფიზიკური აღზრდის ინსპექტორების თანამდებობანი.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირთან შეთანხმებით, შექმნას რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონში ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლები და შეძლებისდაგვარად გაადიდოს ამ სკოლების ფილიალების რაოდენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნას ცნობად, განათლების მინისტრის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის განცხადება, რომ ყველა ტიპის სკოლების ყველა კლასში შემოღებულია ფიზიკური კულტურის ორ-ორი გაკვეთილი კვირაში და რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატში შეიქმნა ფიზიკური აღზრდის განყოფილება.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და იმ სამინისტროებს, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ უმაღლესი სასწავლებლები:

ა) ააშენონ ქ. თბილისში არაცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე უმაღლეს სასწავლებელთაშორისო ობიექტები უმაღლესი სასწავლებლების კოოპერირებული სახსრებით: ღია 50-მეტრიანი საცურაო აუზი წყლის გათბობით (1967-1968 წლებში), სამდარბაზიანი კორპუსი სპორტული თამაშობებისა და ტანვარჯიშისათვის (1968-1969 წლებში), მძლეოსნობის მანეჟი (1969-1970 წლებში);

ბ) გაითვალისწინონ უმაღლეს სასწავლებელთაშორისო სპორტული ნაგებობების მშენებლობა, წაახალისონ ამ ნაგებობათა მშენებლობა სტუდენტთა და მოსწავლეთა ძალებით საზოგადოებრივ საწყისებზე, გამოუყონ სასწავლებლებს საჭირო საშენი მასალები, მექანიზმები და ტრანსპორტი.

6. ნება დაერთოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს მოახდინონ კოოპერირება და გამოიყენონ სახსრები, რომლებიც მათს განკარგულებაში რჩება სახელშეკრულებო საწყისებზე შესრულებული სამუშაოებისათვის მიღებული შემოსავლიდან, სპორტული ნაგებობებისა და გამაჯანსაღებელ-სპორტული ბანაკების შექმნა-გაფართოებისათვის.

7. დაევალოთ საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები და სპორტული ნაგებობანი აქვთ:

ა) გააუმჯობესონ სპორტულ ნაგებობათა გამოყენება იმ ანგარიშით, რომ ეს ნაგებობანი, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, გახდნენ საყოველთაო ხელმისაწვდომნი მოსახლეობისათვის, რომელსაც სურს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობა, და დაეთმოს მოწყობილობასთან და ინვენტართან ერთად დღისით უფასო სარგებლობისათვის, რათა ჩატარდეს ფიზკულტურის გაკვეთილები და სპორტულ-მასობრივი მუშაობა მოწაფეებთან, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებთან;

ბ) დაუთმონ უმაღლეს სასწავლებლებს სპორტული ნაგებობანი სასწავლო მეცადინეობისათვის შეღავათიან პირობებში მათი საიჯარო ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურებით, ამასთან დაადგინონ წესი, რომლის დროსაც ის

ორგანიზაციები, რომლებიც სპორტული ნაგებობებით სარგებლობენ, მოვალენი არიან მიიღონ მონაწილეობა მათს მომსახურებაში.

8. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან სკოლები, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით და ფიზიკური კულტურის სპეციალისტებით, — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა დააზუსტონ არსებული მოთხოვნილება და შესაბამისი ცნობები წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1967 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის 1967 წლის მისაღები კონტინგენტის გეგმა აღნიშნულ სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნილების მიხედვით და რომ მოეწყოს ფიზიკური აღზრდის ჯგუფები ქალაქ ბათუმის და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან.

9. ნება დაერთოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, მოაწყოს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მომზადება მცირეკომპლექტიანი სკოლებისათვის მათ მიერ მეორე სპეციალობის მიღების წესით.

10. საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოებმა სისტემატურად აამაღლონ ფიზკულტურის მასწავლებელთა, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა, მწვრთნელთა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაცია.

11. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ნოემბრის № 670 დადგენილების მე-5 პუნქტის შესაცვლელად:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოაწყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი სამთვიანი კურსები 100 კაცისათვის, ამ ინსტიტუტის კონტინგენტისა და საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, აგრეთვე დაწყებითი კლასების ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთა კურსები იმ მიზნით, რომ შეიძინონ მათ კვალიფიკაცია ფიზიკური კულტურის დარგში;

ბ) საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა — შექმნას 1968 წლიდან საკუთარი სახსრების ხარჯზე ფიზკულტურული კადრების გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი სამთვიანი კურსები მათთვის ხელფასის შენარჩუნებით;

გ) საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა — მოახდინონ ფიზიკური კულტურის იმ სპეციალისტთა მობილიზაცია, რომლებიც სპეციალობის მიხედვით არ მუშაობენ, და გაგზავნონ ისინი სამუშაოდ რესპუბლიკის სკოლებში, სხვა სასწავლებლებსა და ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

12. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ბიომექანიკის საპრობლემო ლაბორატორია და ამ საკითხზე წინადადება წარედგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ააშენოს 1967-1969 წლებში ქ. თბილისში საქალაქო ცენტრალური საბავშვო სპორტული სკოლისათვის ღია 50-მეტრიანი საცურაო აუზი წყლის გათბობით და საზაფხულო სპორტული მოედნები.

14. ვინაიდან ფიზიკური კულტურის დანერგვა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში წარმოადგენს ფიზკულტურული მოძრაობის მთავარ ამოცანას:

ა) რჩევა მიეცეთ სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სისტემატურად ჩაატარონ საწარმოო ტანვარჯიში, შექმნან ფიზკულტურული ჯგუფები საშუალო და უფროსი ასაკის პირთათვის; განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მასობრივი ტურიზმის განვითარებას, ტურისტული გამაჯანსაღებელი ბანაკების, სპორტული მეთევზეობისა და ნადირობის სახლების მშენებლობას და ამ მიზნით შემოიღონ შტატებში საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა თანამდებობანი პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 22 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებულ ყველა ობიექტში;

ბ) საქართველოს კპ საოლქო, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საჭიროა განვითარდეს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მშრომელ და მოსწავლე ახალგაზრდობაში, უწინარეს ყოვლისა საცხოვრებელ ადგილას, რისთვისაც ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად, შექმნან რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში „ჯანმრთელობის კლუბები“, ისე-

თი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბების მაგალითის მიხედვით, რომ-
გორიცაა ქ. თბილისის „დილა“, „გაზაფხული“, „დელისი“ და ქ. ქუთაისის
„რიონი“.

15. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის
პროპაგანდის დონის ამაღლების მიზნით:

ა) დაევალოთ რესპუბლიკური, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რე-
დაქციებს ფართოდ და რეგულარულად გააშუქონ ფიზკულტურული ორგანიზა-
ციების მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმია-
ნობის საკითხები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრ-
თა საბჭოს მიერ 1966 წლის 11 აგვისტოს მიღებულ დადგენილებებთან და სსრ
კავშირის და საქართველოს ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადებისათვის მზა-
დებასთან დაკავშირებული საკითხები;

ბ) დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა
და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ყოველდღიურად გადასცეს რადიოთი
ქართულ ენაზე საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსები, გამოუშვას ტელევიზიით
თვეში ორჯერ სპორტული ჟურნალი „ირმის ნახტომი“.

16. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტს:

ა) გაითვალისწინოს სპეციალური და მხატვრული ლიტერატურის გამო-
შვების გადიდება სპორტულ თემატიკაზე;

ბ) გახსნას ქ. თბილისში 1967 წელს სპეციალიზებული მაღაზია „სპორ-
ტული წიგნი“, ხოლო რესპუბლიკის დიდი ქალაქების წიგნის მაღაზიებში —
სპეციალიზებული სექციები სპორტული ლიტერატურის გასაყიდად.

17. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის
ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონო-
მიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას, განათლების საქალაქო
და რაიონულ განყოფილებებს, სკოლების დირექტორებს გააძლიერონ ყურა-
დღება გარესასწავლო მასობრივი ფიზკულტურული მუშაობისა და მოსწავლე-
თა სპორტული ოსტატობის ამაღლებისადმი.

18. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ქალაქებისა და
რაიონული ცენტრების განაშენიანების გენერალური გეგმების შედგენისას
გაითვალისწინონ სათანადო ფიზკულტურულ ნაგებობათა მშენებლობა, გამოუ-
ყონ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს საზაფხულო და საზამთრო გამა-
ჯანსაღებელი ბანაკების მოსაწყობად მიწის ნაკვეთები, ნება დართონ სპორტუ-
ლი ბლოკებისა და სხვა საჭირო ნაგებობათა კაპიტალური მშენებლობისა; კა-
ტეგორიულად აკრძალონ ყველა სახის სპორტული ნაგებობის აღება, აგრეთვე
არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება.

19. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1966 წლის 5 მაისის
№ 171 ბრძანების შესაბამისად, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ფიზკულ-
ტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის კოლმეურნეობებსა და
საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) ააშენოს თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე მსუბუქი ტიპის დახურული მანეჟი, რათა უკეთ იქნან მომზადებული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ცხენოსნობის სპორტსა და თანამედროვე ხუთჭიდში.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 ივლისის № 502 დადგენილების შესაცვლელად, აღდგენილ იქნას 1967 წლიდან კოლმეურნეობებისათვის საზოგადოება „კოლმეურნის" ყოველწლიური საწევრო შენატანები 30 მანეთის რაოდენობით წელიწადში კოლმეურნეობათა ყოველი სრული და არასრული 10 ათასი მანეთის საერთო წლიური შემოსავლიდან.

დაევალოთ სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს აცნობონ ეს დადგენილება კოლმეურნეობათა გამგეობებს, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დახმარება გაუწიონ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს" ფიზკულტურულ ღონისძიებათა გატარებაში, ფიზკულტურელთა ფართო აქტივის მონაწილეობით.

21. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს:

ა) კონტინგენტის გადიდება 500 კაცით 1968 წლიდან საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის ბიუჯეტით;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ სკოლასთან უმაღლესი სპორტული ოსტატობის განყოფილების შექმნა 100 კაცის კონტინგენტით.

22. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, მოაწყონ უმაღლეს სასწავლებლებში, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1965 წლის 25 ნოემბრის № 350 ბრძანების თანახმად, სტუდენტთა და ასპირანტთა სპორტული ოსტატობის ამაღლების და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სპორტული დახელოვნების გაერთიანებული სასწავლო განყოფილებები (ჯგუფები) და უზრუნველყონ ისინი ყოველივე იმით, რაც საჭიროა სპორტის განსაზღვრულ სახეობებში სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის წარმატებით ჩასატარებლად.

23. საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, მიიღონ ყოველგვარი ზომები სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობებში მუშაობის გაუმჯობესებისათვის (ქართული ჭიდაობა, ცხენბურთი, ისინდი, ლელო და სხვ.); სისტემატურად ჩაატარონ შეჯიბრებანი სპორტის ამ სახეობებში სოფლის მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობით; ტრადიციული გახადონ მოსავლის აღებისადმი მიძღვნილ პირველობათა ჩატარება, დანერგონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო ტანვარჯიში, ჩაის პლანტაციებზე მისი ჩატარების დადებითი გამოცდილების მიხედვით.

24. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა სსრ კავშირის

ოლიმპიური გუნდების წევრთა მომზადებასთან, აგრეთვე მოსწავლეთა კონტინგენტის გადიდებასთან დაკავშირებით, გაითვალისწინონ კაპიტალური მშენებლობის 1968-1970 წლების გეგმების პროექტებით, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარედგინება, შემდეგი სპორტული ბაზების აგება საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ტერიტორიაზე ღია 50-მეტრიანი საცურაო აუზისა წყლის გათბობით, დახურული სპორტული მოედნებისა ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის სათამაშოდ, სპორტული დარბაზებისა ძალოსნობაში, ფარიკაობასა და კრივში მეცადინეობისათვის, სასროლი ტირისა და მძლეოსნობის დახურული მანეჟისა.

25. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა აიღოს მის მიერ საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ტერიტორიაზე დროებით დაკავებული სადგომები.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა:

ა) არ დაუშვან სასწავლო გეგმაში იმ საათების შემცირება, რომლებიც გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდისათვის; გააფართოონ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის შესაძლებლობა; გააძლიერონ ყურადღება გარესასწავლო მასობრივი ფიზკულტურული მუშაობისა და სტუდენტთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისადმი;

ბ) უზრუნველყონ 1967-1968 წლების განმავლობაში სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა სტუდენტთა სასწავლო მეცადინეობისათვის ფიზიკური აღზრდის პროგრამის მიხედვით, აგრეთვე გაითვალისწინონ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა ახალი სასწავლო კორპუსების აგების დროს.

27. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) უფრო ფართოდ გამოიყენოს ფიზიკური კულტურა სამედიცინო დაწესებულებათა სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობაში, გააუმჯობესოს საექიმო კონტროლი იმ პირებისადმი, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობენ, განსაკუთრებით პროფტექნიკური განათლების სკოლებში, სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სპორტსმენებისადმი;

ბ) გაადიდოს საექიმო-ფიზკულტურული დაწესებულებების, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტების ქსელი პოლიკლინიკებთან; გააუმჯობესოს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისა და ექიმების მომზადება იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური კულტურის საშუალებათა გამოყენებასთან სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნით; მოაწყოს სპეციალისტთა კონსულტაციები და ლიტერატურის გამოშვება მშობლებისათვის ოჯახსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შესახებ;

გ) ააშენოს 1968-1969 წლებში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე ღია 50-მეტრიანი საცურაო აუზი წყლის გათბობით.

28. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად დაიწყოს ღია 50-მეტრიანი საცურაო

აუზის მშენებლობა წყლის გათბობით თბილისის პირველი მაისის რაიონში გამოყოფილ ნაკვეთზე და დაამთავროს მისი მშენებლობა 1968 წლის მაისისათვის.

29. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ:

ა) იმ მიზნით, რომ უკეთ იქნან უზრუნველყოფილი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები სპორტული საქონლითა და ინვენტარით, ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება „საქსპორტვაჭრობის“ მოწყობის შესახებ, ხოლო სპორტული ინვენტარის ვაჭრობისათვის უკვე 1967 წელს შექმნას სამი სპეციალიზებული მაღაზია თბილისში და თითო მაღაზია — რესპუბლიკის დანარჩენ დიდ ქალაქებში;

ბ) მოაწყოს საჭიროების მიხედვით სპორტული ინვენტარის ვაჭრობისათვის სპეციალიზებული მაღაზიები ან სპეციალიზებული სექციები ქალაქის მაღაზიებში.

30. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას მოაწყოს ყველა რაიონული ცენტრის დიდ მაღაზიასთან სპორტული ინვენტარის გასაყიდი სპეციალიზებული სექციები.

31. საქართველოს პროფსაბჭომ, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „ქარიშხალას“ რესპუბლიკურ საბჭოსთან და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან ერთად, განიხილოს საკითხები:

ა) თუ რამდენად შესაძლებელია გაუდიდდეთ ასიგნობანი უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ კლუბებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) თუ რამდენად შესაძლებელია პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოების საშტატო ერთეულების გადიდება იმ მიზნით, რომ პრაქტიკული დახმარება გაეწიოთ პროფკავშირთა ფიზკულტურულ კოლექტივებს და გაუმჯობესდეს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საქმიანობა.

32. დაევალოთ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 10 დღის ვადაში წარმოუდგინონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაანგარიშებანი ასიგნობებისა, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ განხორციელდეს 1967 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რათა წარედგინოს ისინი საკავშირო ორგანოებს.

33. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გამოძებნოს სახსრები არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებებიდან და დაამთავროს სტადიონის მშენებლობა ქალაქ სოხუმში.

34. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

ა) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 ივნისის № 449 დადგენილების მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკრძალოს თბილისის ფიზიკური კულტურის სა-

ხელმწიფო ინსტიტუტის ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე (გენერალური გეგმის შესაბამისად) ისეთი მშენებლობის წარმოება, რომელიც არ არის დაკავშირებული სპორტის განვითარებასთან;

ბ) გამოყოს ტერიტორია და მონკავშირთან ერთად ააშენოს სასროლო სტენდი;

გ) მტკიცე კონტროლი გაუწიოს იმას, რომ მიზნობრივი დანიშნულებით იხარჯებოდეს ბინის ქირის 2-პროცენტიანი ანარიცხები და არასაცხოვრებელი სადგომების 5-პროცენტიანი საიჯარო ქირა, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის სახლმმართველობებში იმ ანგარიშით, რომ: ანარიცხთა საერთო თანხის 30 პროცენტი თავმოყრილ იქნას საქალაქო საბჭოს გამგებლობაში, 30 პროცენტი — რაიონული საბჭოების გამგებლობაში და 40 პროცენტი — სახლმმართველობების განკარგულებაში, ამასთან საქალაქო საბჭოში თავმოყრილი თანხის 30 პროცენტი მოახმაროს რიგრიგობით სპორტული მშენებლობის გაძლიერებას ქალაქ თბილისის იმ რაიონებში, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ.

35. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ააშენოს ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე სპორტული თამაშობებისა და ტანვარჯიშის დარბაზი მაყურებელთა 3.000-ადგილიანი ტრიბუნებით.

36. წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს მიწის ნაკვეთი ალპინისტური ბანაკის „აილამას“ ტვირთგადასაცლელი ბაზის მშენებლობისათვის.

37. გაგრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს „დინამოს“ საქართველოს საბჭოს ახალაძის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი ფეხბურთის ორი საწვრთნელი მოედნის მშენებლობისათვის, რომლებიც თბილისის „დინამოს“ ოსტატთა ფეხბურთის გუნდს სჭირდება.

38. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტული ბაზების დათმობა ხდება უფასოდ და შეღავათიან პირობებში და შემცირდა შემოსავლის მიღება მათი ექსპლუატაციისაგან, ქ. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაითვალისწინოს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდება 1967 წლის განმავლობაში და შემდგომი წლებისათვის, არსებული საწარმოო სიმძლავრისა და წარმოების პროფილის შესაბამისად.

39. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ჩაატაროს ქ. თბილისის პროფტექნიკური განათლების № 31 სასწავლებლის სპორტული ბაზების რეკონსტრუქცია და შექმნას 1967-1970 წლების განმავლობაში სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოება „შრომითი რეზერვების“, აგრეთვე რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისა და სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდების წევრთა მომზადებას.

40. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს № 671 დადგენილებით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები“:

ა) უფლება მიენიჭათ სამინისტროებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სასწავლებლებს, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, აგრეთვე რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს აწარმოონ არსებული სპორტული ნაგებობების კეთილმოწყობა და გაწყობა, აგრეთვე ახლების მშენებლობა 150 ათას მანეთამდე ღირებულებით, დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობისათვის, მათ შორის რამდენიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის სახსრების გაერთიანების საფუძველზე;

ბ) გათვალისწინებულია უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონულ ცენტრებში კომპლექსური სპორტული მოედნების, სტადიონებისა და სხვა სპორტული ნაგებობების მშენებლობა პროფკავშირების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, საბჭოთა მეურნეობების ასიგნობათა, სასოფლო სპორტულ საზოგადოებებში სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ყოველწლიური შენატანების გათვალისწინებით;

გ) დადგენილია, რომ სოფლებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების დაგეგმვისა და განაშენიანების დროს გამოიყოფა ნაკვეთები სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისათვის. სასოფლო კლუბები უნდა შენდებოდეს, როგორც წესი, სპორტული დარბაზებითა და მოედნებით;

დ) ნება დაერთო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს (კომიტეტებს), განათლებისა და სახალხო განათლების სამინისტროებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, მოაწყონ მთელ რიგ პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მომზადება მცირეკომპლექტიანი სკოლებისათვის მათ მიერ მეორე სპეციალობის მიღების წესით;

ე) ნება დაერთო მოკავშირე რესპუბლიკების განათლების და სახალხო განათლების სამინისტროებს მოაწყონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა;

ვ) დაწესებულია, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, მწვრთნელებს და სხვა მუშაკებს, რომლებიც გადიან სწავლებას მწვრთნელთა და მასწავლებელთა კადრების დახელოვნების ფაკულტეტზე, — შეუნარჩუნდებათ ხელფასი სამუშაო ადგილის მიხედვით, მიმავლინებელი ორგანიზაციები აუნაზღაურებენ მგზავრობის ხარჯებს იქით და აქეთ, დღიურებს გზაში ყოფნისას და მიეცემათ სტიპენდიები თვეში 30 მანე-

თის ოდენობით იმ ანგარიშით, რომ სტიპენდია შენარჩუნებულ ხელფასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 130 მანეთს თვეში;

ზ) გათვალისწინებულია, რომ სპორტულ ნაგებობათა გაწყობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა მიკრორაიონებსა და საცხოვრებელ მასივებში უნდა ხდებოდეს საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემასთან ერთად;

თ) დადგენილია, რომ ახლად აშენებული სკოლები, სასწავლებლები და ტექნიკუმები უნდა გადაეცეს საექსპლუატაციოდ მათთვის გათვალისწინებული სპორტული ნაგებობებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჭავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 24 იანვარი № 50.

3 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, განათლების ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრიობის წინაშე სახავს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

უკანასკნელ დროს რესპუბლიკის სახალხო განათლებამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს: შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლა, ყოველწლიურად იზრდება პროცენტული თანაფარდობა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა და მოსწავლეთა საერთო კონტინგენტს შორის, რესპუბლიკის პედაგოგთა 70-ათასიან არმიას ემატება ახალი კვალიფიციური კადრები, გაუმჯობესდა მოსწავლეთა მომზადების ხარისხი, იზრდება იმ ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, მტკიცდება სკოლების მატერიალური ბაზა.

ამავე დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს.

არ ხორციელდება სათანადო ზომები, რათა აღმოიფხვრას ისეთი მდგომარეობა, როდესაც სასწავლო გეგმები და პროგრამები არ შეესაბამება მეცნიერული ცოდნის ახლანდელ დონეს, აღიკვეთოს მოსწავლეთა ზედმეტი დატვირთვა სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცონდის სიღრმეზე, სიმტკიცეზე, მათს ჯანმრთელობაზე.

ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, დუშეთის, მესტიის, ახმეტისა და ზოგიერთი სხვა მთიანი რაიონების სკოლები განიცდიან ცალკეული დისციპლინების პედაგოგთა ნაკლებობას. მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პროფესიული მომზადების დონე და კვალიფიკაცია შემდგომ ამაღლებას საჭიროებს.

რესპუბლიკაში საკმაოდ არ ხდება სახალხო განათლების საკვანძო, სასიცოცხლო — მნიშვნელოვანი პრობლემების შემუშავება, საბჭოთა სკოლის მიერ დაგროვილი უდიდესი და მრავალმხრივი გამოცდილების დროული და ღრმა განზოგადება და გააანალიზება.

საკმაო რაოდენობის შენობების უქონლობისა და მთელი რიგი სასკოლო სადგომების ავარიული მდგომარეობის გამო, ბევრ სკოლაში მეცადინეობა ორ ცვლად, ხოლო ზოგჯერ სამ ცვლად წარმოებს. ამავე დროს, არსებულ შესაძლებლობათა მიუხედავად, მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები არ ახორციელებენ სასკოლო მშენებლობას.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ უწევენ საკმაო დახმარებას სახალხო განათლების ორგანოებს ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის გაუმჯობესებაში, მოსახლეობის პედაგოგიური კულტურის ამაღლებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის პირობებში უმაგალითოდ იზრდება სკოლის როლი მოზარდი თაობის ყოველმხრივი განვითარების, კომუნისტური საზოგადოების ღირსეულ მშენებელთა მომზადების საქმეში. საწარმოო ძალთა განვითარების და ხალხის კულტურის შემდგომი ზრდის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი, უკეთ მოვამზადოთ ისინი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის.

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილებისა „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აღიარებულ იქნას, რომ საბჭოთა სკოლა კვლავაც უნდა ვითარდებოდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლა. მისი მთავარი ამოცანებია შეაიარაღოს მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, განუვითაროს მათ მაღალი კომუნისტური შეგნება, მოამზადოს ახალგაზრდობა ცხოვრებისათვის, პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის. სკოლა, რომელიც მთელ აღმზრდელობითს მუშაობას ცხოვრებას უკავშირებს, უნდა აიარაღებდეს მოსწავლეებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ზრდიდეს მათ საბჭოთა ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციე-

ბით; უვითარებდეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას, ზრდიდეს ისე, რომ მზად იყვნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად; უჩვენებდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმურ ერთობას, მათ მეგობრობას სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან, ზრდიდეს მოსწავლეებს სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან სოლიდარობის სულისკვეთებით, ყველა ხალხთან სოლიდარობის სულისკვეთებით, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; გაბედულად ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცხო მორალის შეჭრას მოსწავლეთა შეგნებაში.

სკოლა მოწოდებულია ახორციელებდეს ესთეტიკურ აღზრდას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა იდეურ და ზნეობრივ ფორმირებაში, ზრუნავდეს მათი ჯანმრთელობის გამაგრებისა და ფიზიკური განვითარებისათვის.

2. იმ მიზნით, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს საშუალო განათლება, შეიქმნას სტაბილურობა სკოლების მუშაობაში, თანმიმდევრულად განხორციელდეს პოლიტექნიკური სწავლებისა და შრომითი აღზრდის პრინციპები და სწავლების შინაარსი შეუფარდდეს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოთხოვნებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— უზრუნველყოს დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, სახალხო მეურნეობის 1966-1970 წლების გეგმის დავალების შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გაშლა, მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა და სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების გეგმიან დავალებათა შესრულება;

— უახლოეს დროში შემოიღოს სამოქმედოდ მეცნიერულად დასაბუთებული სასწავლო გეგმები და პროგრამები;

— დააწესოს თანამომდევნობა მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლაში I-დან X კლასამდე, გაანაწილოს სასწავლო გეგმები სწავლის წლების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური სწავლება დაიწყოს სწავლის მეოთხე წლიდან (ამასთან შენარჩუნებულ იქნას I-IV კლასების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მოქმედი პირობები);

— შეუდგეს 1967-1968 სასწავლო წლიდან სკოლების გეგმაზომიერად და ორგანიზებულად გადაყვანას ახალი სასწავლო პროგრამებით სწავლაზე, უზრუნველყოს სტაბილური სასკოლო სახელმძღვანელოების დროულად მომზადება პროგრამების მტკიცე შესაბამისობით;

— საფუძვლად მიიღოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული რეკომენდაციებით სკოლები სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესახებ;

— მხედველობაში მიიღოს, რომ სკოლის სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო საათების შემდეგ მაქსიმალურ რაოდენობას, შრომასა, ფიზიკურ კულტურასა და ხელოვნებაში მეცადინეობის ჩათვლით:

I-IV კლასებისათვის — 24-27 საათი კვირაში,
V-X კლასებისათვის — 33 საათი კვირაში;

— იმისათვის, რომ გაღრმავდეს მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკა-მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, აგრეთვე განვითარდეს მათი მრავალმხრივი ინტერესი და ნიჭი, — უფლება მიანიჭოს სკოლებს აწარმოონ, VII კლასიდან დაწყებული, ფაკულტატური მეცადინეობა მოსწავლეთა არჩევანით. ახალი სასწავლო გეგმებით ასანაზღაურებელი საათების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი სასწავლო გეგმებით დადგენილი საათების რაოდენობას;

— სასწავლო მეცადინეობის ჩატარების პირობების გაუმჯობესების მიზნით, დააწესოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასების შემდეგი ზღვრული შევსება: I-VIII კლასებში — 40 მოსწავლე, IX-X კლასებში — 35 მოსწავლე,

— გაატაროს სოფლის საშუალო სკოლებში, რუსული ენის უკეთ შესასწავლად უახლოესი 5 წლის განმავლობაში IV-X კლასების გაყოფა ორ ქვეჯგუფად, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 25-ს აღემატება;

— გააუმჯობესოს სკოლის მუშაობა იმ მხრივ, რომ ჩაუნერგოს მოსწავლეებს შეგნებული დისციპლინა და კულტურა, მიაღწიოს ყველა მოსწავლის სანიმუშო ყოფაქცევას, გადააქციოს ყოველი სკოლა მისი მოქმედების რაიონის ყველა ბავშვთა აღმზრდელობითი მუშაობის მაორგანიზებელ ცენტრად; მიაღწიოს იმას, რომ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები მტკიცე მოთხოვნებს უყენებდნენ მოსწავლეებს და ამავე დროს იჩენდნენ მათდამი პატივისცემას;

— შემოიღოს სკოლების შტატში ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორის თანამდებობა (სკოლის დირექტორის მოადგილის უფლებით), ნაცვლად დირექტორის მოადგილის თანამდებობისა საწარმოო სწავლების დარგში. ამ თანამდებობათა დასაკავებლად შეარჩიოს ფართო საერთო ჰორიზონტის და პედაგოგიური ცოდნის მქონე კვალიფიციური სპეციალისტები უპირატესად ისეთ პირთაგან, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური და კლასგარეშე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

— რესპუბლიკაში დაგროვილი დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით, ნება დართოს გაიხსნას ცალკეულ შემთხვევებში სკოლები და კლასები, რომელთა IX-X კლასებში იწარმოებს გამოთვლითი ტექნიკის, ფიზიკისა და რადიოელექტრონიკის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიისა და აგრობიოლოგიის, ჰუმანიტარული და სხვა საგნების ღრმა თეორიული და პრაქტიკული შესწავლა;

— მიიღოს აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მუშაობაში, რათა შემუშავდეს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესების, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისათვის სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი, აგრეთვე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების ახალი დებულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიღოს ზომები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, რათა უსწრაფესად შეიქმნას და გამოიცეს საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი სტაბილური სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებლებისათვის და ჩაბას ამ საქმეში წამყვანი მეცნიერები და გამოცდილი მასწავლებლები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ შედგენილ და გამოცემულ იქნას პლაკატები, ალბომები, დიაფილმები და სხვა მასალები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კომუნისტური მორალის, მსოფლიოს ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის დანერგვა მოსწავლეებში;

— მიიღოს ზომები საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტთან და საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად, რათა გაუმჯობესდეს პედაგოგიური ცოდნის ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდა მოსახლეობაში, შეიქმნას სკოლებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში პედაგოგიური ცოდნის ლექტორიუმები;

— დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესში კინო, ტელევიზია და სხვა ტექნიკური საშუალებანი, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში განათლების ორგანოებს;

— იმისათვის რომ სახელმწიფო დახმარება გაეწიოს მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებს განათლების მიღებაში, დააწესოს კონტინგენტი მომავალი ხუთწლეულისათვის ჩვეულებრივი ტიპის სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში 1965 წლის დონეზე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაფართოვდეს ნერვიულ, გონებრივად და ფიზიკურად ნაკლებად განვითარებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ქსელი, აგრეთვე სანატორიუმ-სატყეო სკოლების ქსელი.

3. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— ვინაიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპი დაბეჯითებით მოითხოვს სკოლებისადმი ხელმძღვანელობის მეცნიერული და ორგანიზაციული დონის ამაღლებას, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკთა შემადგენლობის განმტკიცებას, დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების განყოფილებებს იმ მხრივ, რომ დააწინაურონ ინსპექტორულ სამუშაოზე სკოლების ავტორიტეტიანი ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სპეციალის-

ტები, რომლებმაც კარგად იციან სკოლის საქმე და უნარი შესწევთ გაავრცელონ მოწინავე მასწავლებელთა დადებითი გამოცდილება, უზრუნველყონ ისინი საჭირო ტრანსპორტით, შეუქმნან სათანადო პირობები მასწავლებელთა წარმატებით მუშაობისათვის, სისტემატურად აამაღლონ მათი კვალიფიკაცია, ამასთან უცილობლივ შეასრულონ კანონი განათლების, მუშაკთა შრომის დაცვის, შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ, გამუდმებით იზრუნონ მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, უფრო სწორად გამოიყენონ მათი შრომა;

— არასწორად ჩაითვალოს პრაქტიკა, როდესაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასწავლო მეცადინეობის დროს იყენებენ სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებზე, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სწავლების ხარისხსა და მოსწავლეთა ჯანმრთელობას. ამიერიდან კატეგორიულად აკრძალონ მოსწავლეთა, სკოლების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა მოცდენა ისეთი სამუშაოებისათვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათს პირდაპირ მოვალეობასთან;

— გააძლიერონ მომთხოვნელობა სახალხო განათლების განყოფილებებისადმი, სკოლების დირექტორებისადმი, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებისადმი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და თავდაცვითი სასპორტო მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

4. დაევალოთ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

— უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახონ საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, ძირითადად 1970 წელს, ხოლო ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად სავსებით დაამთავრონ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელება;

— მოსწავლეთა აღზრდისა და მატერიალური ბაზების განმტკიცების საქმეში აქტიური დახმარების გაწევის მიზნით, ყოველმხრივ გააძლიერონ სკოლებზე საშეფო მუშაობა;

— უზრუნველყონ საწარმოებისა და დაწესებულებების მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუდმივი ურთიერთობა იმ სკოლებთან, სადაც მათი მუშაკების შვილები სწავლობენ, დაინტერესდნენ ოჯახში მოსწავლეთა აღზრდის პირობებით, შემოიღონ ბავშვთა აღზრდის საკითხების განხილვა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე, აქტიურად დაეხმარონ ოჯახსა და სკოლას ბავშვების აღზრდაში, ზემოქმედება მოახდინონ იმ მშობლებზე, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან ამ საქმეს;

— შექმნან სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებში ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობი კომისიები ან საბჭოები;

— მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის მათი მომზადების მიზნით, ყოველგვარი და-

ხმარება აღმოუჩინონ სკოლებს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მოწყობაში, სისტემატურად ჩაატარონ რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია იმ ანგარიშით, რომ გაეცნონ ისინი სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, დაწესებულებებს, მიაწოდონ მათ ცნობები ყველაზე გავრცელებული პროფესიების შესახებ;

— უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს მოწყობილობა და მასალები, გასწიონ ზეგეგმით დაგროვებათა ანგარიშში სკოლების მშენებლობის, რემონტისა და გაწყობის ხარჯები.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახალხო მეურნეობის წლიური გეგმების შემუშავებისას დააწესონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების კონტინგენტი იმის გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდეს ყველა დისციპლინის მასწავლებლებზე არსებული რეალური მოთხოვნილება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაკომპლექტებულ იქნან რესპუბლიკის შორეული რაიონების ახალგაზრდობით ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ კადრებს ამზადებენ.

6. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააუმჯობესოს სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, მიიღოს ზომები მათი მუშაობის დონის ამაღლებისათვის. სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს იდეური დაჯერებულობის, ცოდნისა და შრომისადმი სიყვარულის დანერგვა მოსწავლეებში, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარება მათში. შეიმუშაოს ღონისძიებანი, რათა მოეწყოს ბავშვებთან მუშაობა მათს საცხოვრებელ ადგილზე.

7. სკოლების მუშაობისათვის უფრო ხელსაყრელი მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნის მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენს და იმ სამინისტროებს, რომლებიც სამრეწველო ობიექტებისა და უწყებრივი საცხოვრებელი მასივების მშენებლობას განაგებენ, გაითვალისწინონ ამ მშენებლობათა შეჯამებული ხარჯთაღრიცხვებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობების აგება შესაბამისი დარგების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

8. სამინისტროებმა და უწყებებმა ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებული წინადადებანი 1967-1970 წლებში მშენებლობათა საერთო ფონდის ხარჯზე სასკოლო შენობების მშენებლობის გეგმის შესახებ.

9. დაწესდეს, რომ სკოლების მშენებლობა სოფლად უნდა ხორციელდებოდეს კომპლექსურად მასწავლებელთა ბინებთან ერთად, ხოლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მშენებლობა სასკოლო ინტერნატებითაც იმ მოსწავლეები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, რომლებიც სკოლიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის განმავლობაში მოამზადონ ტექნიკური დოკუმენტაცია კომპლექსურად მშენებარე დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის, მასწავლებელთა ორბინიანი, ოთხბინიანი და რვაბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის, აგრეთვე სასკოლო ინტერნატების ტიპობრივი პროექტები.

11. დაწესდეს, რომ სკოლის საცხოვრებელი ფონდი ეკუთვნის სახალხო განათლების ორგანოებს და ამ ფონდში არ შეიძლება იმ პირთა ჩასახლება, რომლებიც სკოლაში არ მუშაობენ.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ყოველწლიურად გამოუყოს სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიზნობრივი დანიშნულებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭირო სახსრები საბინაო მშენებლობისათვის გაღებულ საერთო ასიგნებათა ხარჯზე.

13. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში შეისწავლონ სოფლის რვაწლიანი და საშუალო სკოლების გამსხვილების, მათთან სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხი და 1967-1970 წლებისათვის ნავარაუდევი თავიანთი წინადადებანი ამ საკითხებზე წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

14. მოწონებულ და ფართოდ იქნას პოპულარიზებული ქობულეთის, ბათუმის, გალის, გურჯაანის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, თელავისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ძვირფასი თაოსნობა სკოლების საინიციატივო მშენებლობის დარგში. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აწარმოონ საკუთარი სახსრებით როგორც ახალი საინიციატივო სასკოლო მშენებლობის, ისე არსებული სასკოლო შენობების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები და 1967 წლის პირველ ნახევარში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თავისი წინადადებანი 1968-1970 წლების პერსპექტიული გეგმის შესადგენად.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ სკოლების საინიციატივო მშენებლობის ფართო გაქანებასთან დაკავშირებით, გამოყონ ამ მშენებლობებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადებით მასალები და მოწყობილობა ისევე, როგორც იმ სკოლების მშენებლობისათვის, რომლებიც სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შენდება.

16. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სასკოლო მშენებლობას ეწევიან თავიანთი სახსრებით, განაცხადებს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისა და ფონდების გამოყოფის შესახებ გაუგზავნიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არაცენტრალიზებულ სასკოლო მშენებლობაზე საერთო განაცხადების წარსადგენად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის.

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— გაითვალისწინოს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა 1967 წლის გეგმით რაიონების მოთხოვნები, რომ მომზადდეს საჭირო ტექნიკური რეკომენდაცია გამსხვილებულ სკოლებთან სასკოლო ინტერნატების მშენებლობისათვის;

— 1967 წლის 1 ივნისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობის 1968-1970 წლების პერსპექტიული გეგმა;

— ცალკე გაითვალისწინოს საინიციატივო სასკოლო მშენებლობა, რომელიც არაცენტრალიზებული სახსრებით ხორციელდება, და დროზე უზრუნველყოს ეს მშენებლობანი ტექნიკური დოკუმენტაციით.

18. ვინაიდან იზრდება სკოლების საინიციატივო მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მკვეთრად მატულობს სკოლა-ინტერნატების მშენებლობის მოცულობა და საჭიროა სკოლების გამსხვილება სოფლის მცირეკომპლექტიანი სკოლების ლიკვიდაციის ხარჯზე, ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ საპროექტო კანტორას აწარმოოს 150 ათას მანეთამდე ღირებულების სასკოლო შენობების რეკონსტრუქციისა და მინაშენების დაპროექტება, ამასთან დაეკისროს მას აღნიშნული კატეგორიის შენობებისათვის ტიპობრივი პროექტების მორგების ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.

19. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, განათლების, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა და საქართველოს სსრ სახმშენმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის ხარისხს, რომლებიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების თაოსნობით შენდება.

20. იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სკოლების მომარაგება ინვენტარითა და ავეჯით, კომისიამ:

— შეისწავლოს საკითხი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადება სასკოლო ავეჯის დამამზადებელი ფაბრიკის გაფართოებისა და ახალი ტექნიკით აღჭურვის ‘ესახებ;

— განსაზღვროს 1967-1970 წლებისათვის სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ავეჯით მომარაგების გეგმა, ამასთან ახალი სკოლების მოთხოვნებთან ერთად, გაითვალისწინოს ამორტიზებული ინვენტარის შეცვლა სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მოთხოვნით.

21. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მკვეთრად გააუმჯობესოს სკოლებისა, საბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის გამოშვებული ინვენტარის და ავეჯის ხარისხი, არ დაუშვას უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის დამზადება და გაცემა, 1967 წლის დამლევამდე აითვისოს ახალი მერხებისა და სხვა ინვენტარის მასობრივი წარმოება სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის სპეციალური სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროს იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც მოწონებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

22. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და განახორციელონ ამ დადგენილებით დასახული პრაქტიკული ღონისძიებანი.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას შეუსუსტებელი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინონ სკოლების მიმართ და ახსოვდეთ, რომ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 თებერვალი № 80

4 შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების გაძლიერების ზომების შესახებ

ამონაკრები

შავი და ფერადი ლითონების ჯართის დამზადებისა და ჩაბარების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 იანვრის № 72 დადგენილებისა „1967 წელს შავი და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების დამზადების გაძლიერების ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა უცილობლივ შეასრულონ ლითონის ჯართის ჩაბარების 1967 წლისათვის დაწესებული გეგმა და დამატებითი დავალება (დანართის თანახმად) მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის თვითეულმა საწარმომ, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნან კომისიები, რომლებიც გამოავლენენ ლითონის ჯართს და ჯართად ჩამოწერენ შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარ მანქანებს, მოწყობილობას, ლითონის კონსტრუქციებს, სატრანსპორტო საშუალებებს, სათადარიგო ნაწილებსა და სხვა ლითონის ნაკეთობებს.

კომისიებმა ორი კვირის ვადაში დაამთავრონ ეს მუშაობა და მასალები წარუდგინონ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად.

2. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 იანვრის № 72 დადგენილებით უფლება მიენიჭათ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

ა) მიაკუთვნონ 1967 წელს საწესდებო ფონდის შესამცირებლად ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში რიცხული არასრულად ამორტიზებული და შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარი მანქანების, მოწყობილობისა და ნაკეთობების ჯართად ჩამოწერისაგან მიღებული ზარალი;

ბ) ხარჯონ იმ მეორადი ლითონების (შავი და ფერადი) რეალიზაციისაგან მიღებული სახსრების 50 პროცენტამდე, რომლებიც ჩაბარებულია 1967 წელს დამატებითი დავალებით ლითონის ჯართის დამზადების დაწესებული წლიური გეგმის გადამეტებით, პიონერთა ბანაკების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, ტურისტული ბაზების სადგომებისა და ნაგებობების გასაფართოებლად და შესაკეთებლად, აგრეთვე მათთვის მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად, გარდა იმ მანქანების, მოწყობილობისა და ნაკეთობათა რეალიზაციისაგან მიღებული სახსრებისა, რომლებიც ჩამოწერილია ჯართად საწესდებო ფონდის შემცირების ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიმდინარე წლის 15 მარტამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამტკიცებლად წარმოუდგინოს ღონისძიებანი ჯართგადამმუშავებელი მოწყობილობით იმ საწარმოთა და მეურნეობათა აღჭურვისათვის, რომლებიც წელიწადში აბარებენ 1.500 ტონაზე მეტ შავი ლითონების ჯართს, და ყოველწლიურად გამოყოს საჭირო სახსრები ამ მიზნებისათვის.

4. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიიღოს გადასაზიდად 1967 წელს ლითონის ჯართი გეგმის თანახმად და ტვირთის წარდგენის მიხედვით და უზრუნველყოს მისი დაჩქარებით მიტანა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და ჯართის გადამმუშავებელ სხვა პუნქტებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს პირველ რიგში მიაწოდოს საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების განაცხადების თანახმად, საჭირო რაოდენობის საავტომობილო ტრანსპორტი მეორადი შავი და ფერადი ლითონების გადასაზიდად ლითონის გადამმუშავებელ პუნქტებში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 1967 წლის პირველი ნახევრის დამლევამდე დაამთავროს „ვტორჩერმეტის“ სამმართველოს ბათუმის ჯართგადამმუშავებელი ბაზის მშენებლობა.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით მეორადი ლითონების დამზადების მიმდინარეობა და განუმარტონ რესპუბლიკის მშრომელებს ლითონის ჯართის შეგროვების დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

8. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ლითონის ჯართის გამოვლინებას, შეგროვებასა და გაგზავნას, გააძლიერონ სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობა ლითონის ჯართის ჩაბარების დაწესებულ დავალებათა შესრულებისათვის და მოაწყონ ფართო სოციალისტური შეჯიბრება ლითონის ჯართის შეგროვების გეგმისა და დამატებითი დავალების შესრულებისათვის, ამასთან გამუდმებით განუმარტონ მშრომელებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის ჯართის დროულად ჩაბარებას ლითონის პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

9. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველყოს საქართველოს კომკავშირელთა და მთელი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია შავი და ფერადი

ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამატებითი რესურსების გამოვლინება და მათი დამზადების გაძლიერება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 თებერვალი № 83

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 7 თებერვლის № 83
დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

მეორადი შავი ლითონების დამატებითი დამზადებისა (ჩაბარებისა) 1967 წლისათვის

	სამინისტროთა, უწყებათა დასახელება	დამატებითი დავალება (ტონა)
1.	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	868
2.	კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	70
3.	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	450
4.	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო	100
5.	მშენებლობის სამინისტრო	1000
6.	კულტურის სამინისტრო	6
7.	მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	100
8.	კავშირგაბმულობის სამინისტრო	30
9.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	500
10.	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	50
11.	საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	10
12.	ვაჭრობის სამინისტრო	15
13.	რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	400
14.	პურეული პროდუქტების მთავარი სამმართველო	39
15.	კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	12
16.	ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	5
17.	პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	60
18.	სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	12
19.	გზატკეცილების მთავარი სამმართველო	170
20.	ცეკავშირი (საკუთარი მეურნეობა)	25
21.	თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	314
22.	აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო	16
23.	აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო	20
24.	გეოლოგიის სამმართველო	110
25.	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	18
	წვრილი შეგროვება	
1.	ცეკავშირი	600
2.	„ვტორჩერმეტის“ რესპუბლიკური სამმართველო	1000
	სულ	6000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ებ ი

5 კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ

დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებისა „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები, დანართის თანახმად.

2. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს:

— აცნობონ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშებსა და მოსამსახურეებს და ფართოდ განუმარტონ მათ კოლმეურნეობების, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები;

— უზრუნველყონ, რომ გარდამავალი წითელი დროშების და პრემიების მისანიჭებლად წამოყენებულმა კოლმეურნეობებმა, საწარმოებმა და ორგანიზა-

ციებმა დროზე წარადგინონ მასალები სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების შესახებ;

— განაზოგადონ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გამოცდილება და უზრუნველყონ მისი ფართოდ დანერგვა სხვა საწარმოებში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 28 იანვარი № 52

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 28 იანვრის № 52
დადგენილებით

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

კოლმეურნეობების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით ნაყოფიერი პირობები შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო მძლავრი აღმავლობისა და მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა მთავარ ამოცანას მიმდინარე ხუთწლედში წარმოადგენს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ძირითადი წყაროა მოსავლიანობის ამაღლება მიწათმოქმედების მაღალი კულტურის, მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობის ზრდის, ორგანული და მინერალური სასუქების უფრო ფართოდ და სწორად გამოყენების საფუძველზე; სამელიორაციო სამუშაოთა მოცულობის გაფართოება, ყველაზე მოსავლიანი ჯიშის მარცვლეულისა და სხვა კულტურების დანერგვა, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება.

ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოების შემდგომი ზრდა უზრუნველყოფილ უნდა იქნას უმთავრესად პროდუქტიულობის ამაღლების, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გადიდების ხარჯზე, საკვები ბაზის ყოველმხრივ განმტკიცების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად საჭიროა მთლიანად იქნას გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ყოველ მეურნეობაში არსებული დიდი შესაძლებლობანი, შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება და ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, უკეთ იქნას გამოყენებული მიწა, ტექნიკა და შრომითი რესურსები.

ბევრი საბჭოთა მეურნეობის და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა იკისრეს დიდი ვალდებულებანი 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

მხარს უჭერენ რა იმ მოწინავე კოლექტივების ინიციატივას, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ საწარმოო გეგმების და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს და მისი შედეგების შეჯამების წესს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც:

I. კოლმეურნეობებში

(შეჯიბრების შედეგები შეჯამდება წლის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. შეასრულებენ მარცვლის, რძის, ხორცისა და მოცემული კოლმეურნეობისათვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმას.

2. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ყველა სახის პირუტყვის, ფრინველისა და ნადირის გამოსავალი სულადობის წლიურ გეგმას.

3. მთლიანად უზრუნველყოფენ პირუტყვის სულადობას საკუთარი წარმოების ხარჯზე უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით.

4. შეასრულებენ მარცვლეული კულტურების, კარტოფილის თესლის, ბალახთა და სხვა კულტურების თესლის გამოყოფის გეგმას.

5. მიაღწევენ ნარგავების წარმატებით გახარებას და შენარჩუნებას, შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ნარგავების გაშენების გეგმას.

6. შეასრულებენ წმინდა შემოსავლის გეგმას.

II. საბჭოთა მეურნეობებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, ცხენსაშენებში, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საცდელ-საწარმოო მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების და საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების სასწავლო-საწარმოო მეურნეობებში

(შეჯიბრების შედეგები შეჯამდება წლის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. შეასრულებენ მარცვლის, ხორცის, რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმას, ხოლო სპეციალიზებულ მეურნეობებში — მოცემული მეურნეობისათვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმასაც; საცდელ-საწარმოო და სასწავლო-საწარმოო მეურნეობებში, ამის გარდა, შეასრულებენ ელიტის და პირველი რეპროდუქციის თესლის წარმოებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიყიდვის გეგმას.

2. მიიღებენ ზეგეგმითს მოგებას, ხოლო ის მეურნეობები, სადაც მოგება გეგმით არ არის გათვალისწინებული, — ეკონომიას პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან გეგმასთან შედარებით.

3. უზრუნველყოფენ მეურნეობის სრულ მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან თესლზე, სარგავ მასალაზე მომავალ წელს თესვის (დარგვის) გეგმის შესასრულებლად, აგრეთვე შეასრულებენ ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმას.

4. შეასრულებენ სამეურნეო წესით განსახორციელებელი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმებს, აგრეთვე მეცხოველეობის შენობების საექსპლუატაციოდ გადაცემისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის გეგმებს.

5. შეასრულებენ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის დასახულ ღონისძიებებს.

შენიშვნა: სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველობის მინიჭებისას უპირატესობა უნდა მიეცეთ საბჭოთა მეურნეობების, მეფრინველეობის ფაბრიკების, საჯიშე ცხენსაშენების და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოების კოლექტივებს, რომლებსაც, სხვა თანაბარი პირობების დროს, აქვთ უკეთესი მაჩვენებლები:

ა) ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, ცხოველებისა და ფრინველის პროდუქტიულობის და პროდუქციის ხარისხის მიხედვით;

ბ) ერთი ცენტნერი მარცვლის, ხორცის, რძის, ხოლო სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში, ამის გარდა, — მოცემული მეურნეობისათვის ძირითადი პროდუქციის თვითღირებულების და მათ წარმოებაზე შრომის დანახარჯების შემცირებაში გეგმასთან შედარებით;

გ) პირუტყვის სულადობის საკვებით უზრუნველყოფაში;

დ) სასუქებელი მეურნეობის მოქმედების ზონაში პირუტყვისა და ფრინველის დამზადების გეგმის შესრულებაში.

III. ხეხილსანერგეების საბჭოთა მეურნეობებსა და ხეხილსანერგეებში

(შეჯიბრების შედეგები შეჯამდება წლის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. შეასრულებენ ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოების და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმას, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლის, ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმას.

2. მიიღებენ ზეგეგმითს მოგებას, ხოლო ის მეურნეობანი, რომლებშიაც მოგება გეგმით არ არის გათვალისწინებული, — მიიღებენ ეკონომიას პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან, გეგმასთან შედარებით.

3. შეასრულებენ ხილ-კენკრის კულტურებისა და ვენახის სტანდარტული სარგავი მასალის წარმოების გეგმას.

4. შეასრულებენ ბაღების, საკენკრეების, ვენახებისა და სანერგეთა პირველი მინდვრების გაშენების წლიურ გეგმას, აგრეთვე მყნობის გეგმას, დამტკიცებული დარაიონებული ჯიშობრივ-ხარისხობრივი შემადგენლობის შესაბამისად.

5. შეასრულებენ იმ საწარმოო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმას, რომელიც სამეურნეო წესით ხორციელდება.

6. შეასრულებენ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის დასახულ ღონისძიებებს.

შენიშვნა: სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველობის მინიჭებისას უპირატესობა უნდა მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებისა და ხეხილსანერგეების კოლექტივებს, რომლებსაც სხვა თანაბარ პირობებში აქვთ უკეთესი მაჩვენებლები:

ა) ხილის, კენკრის, ყურძნის მოსავლიანობის, ცხოველთა პროდუქტიულობისა და პროდუქციის ხარისხის დარგში;

ბ) ერთი ცენტნერი ხილის, კენკრის, ყურძნის, მარცვლის, ხორცისა და რძის, აგრეთვე ხილ-კენკრის კულტურებისა და ვენახის სარგავი მასალის წარმოებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითღირებულებისა და შრომის დანახარჯების შემცირებაში, გეგმასთან შედარებით;

ბ) ახალგაზრდა ნარგავების მდგომარეობაში;

დ) პირუტყვის სულადობის საკვებით უზრუნველყოფაში.

IV. მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებში

(შეჯიბრების შედეგები შეჯამდება წლის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. შეასრულებენ ფრინვლის სახეობათა მიხედვით სადღეღამისო მოზარდეულის გამოყვანისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფრინვლის მოზარდეულის რეალიზაციის გეგმას.

2. შეასრულებენ ფრინვლის სადღეღამისო მოზარდეულის ზრდის დამთავრების გეგმას.

3. მიიღებენ კვერცხის სახეობათა მიხედვით ფრინვლის გამოყვანის ზეგეგმითს პროცენტს.

4. შეამცირებენ ფრინვლის ერთი სული სადღეღამისო მოზარდეულის გამოყვანის თვითღირებულებას (კვერცხის ღირებულების ჩაუთვლელად) გეგმასთან შედარებით და გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების გეგმას.

* *
*

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობების, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წახალისების მიზნით, დაწესებულია შემდეგი გარდამავალი წითელი დროშები:

კოლმეურნეობებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 6 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 12 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, 16 მეორე და 16 მესამე ფულადი პრემიები.

საბჭოთა მეურნეობებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 2 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 4 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, 4 მეორე და 4 მესამე ფულადი პრემიები.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის ფულადი პრემიების რაოდენობა განისაზღვრება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, ამ პირობებთან დართული პრემიების იმ სკალის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით.

სოციალისტური შეჯიბრების მიხედვით პრემიები საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცემათ ზეგეგმითი მოგების ან იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც მიღებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან შესაბამის საწარმოში ან ორგანიზაციაში, ხოლო კოლმეურნეობებს — სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით.

საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მინიჭებული პრემიიდან სოფლის მეურნეობის იმ მუშათა, სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას: საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც დარიცხული პრემია 2000 მანეთზე ნაკლებია, — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, სადაც დარიცხული პრემია 2000 მანეთს აღემატება — გამოყოფილი თანხის არანაკლებ 70 პროცენტისა. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და საბინაო საჭიროებისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშათა, სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი სპეციალისტები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოს, ორგანიზაციას მიენიჭება პირველი პრემია—თვიური თანამდებობრივი განაკვეთის (საანგარიშსწორებო სარგოს) 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე. ამ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს, დაქვემდებარების მიხედვით, ზემდგომ სამეურნეო ორგანიზაციას პროფკავშირის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა პროფკავშირების მუშათა კომიტეტების განთავისუფლებული თავმჯდომარეები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან იმავე რაოდენობით.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროფკავშირის ადგილობრივ მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილების შესაბამისად, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიღებული ფულადი პრემიები გამოიყენონ იმ კოლმეურნეთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტურ შეჯიბრე-

ბაში: როდესაც პრემია დარიცხულია 2000 მანეთზე ნაკლები რაოდენობით — დარიცხული თანხის 100 პროცენტამდე, როდესაც პრემია დარიცხულია 2000 მანეთზე მეტი რაოდენობით — დარიცხული თანხის 70 პროცენტამდე, ხოლო პრემიის დანარჩენი თანხა მოახმარონ კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას;

ბ) გამოყონ სახსრები კოლმეურნეთა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის კოლმეურნეობაში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების საერთო ფონდში მათი შრომის ანაზღაურების ფონდის პროპორციულად;

გ) კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეებისა, მთავარი სპეციალისტებისა და მთავარი ბუღალტრებისათვის პრემიების რაოდენობა დააწესონ მათი საშუალო თვიური ხელფასის (განაკვეთის) არა უმეტეს 50 პროცენტისა.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივ სხდომაზე სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების წარდგენით.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები წარდგენილ უნდა იქნას: წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით — არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 25 თებერვლისა, საბუღალტრო ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშასა და მოსამსახურეს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოში ბრიგადების, განყოფილებების, საამქროების კოლექტივებს შორის, აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრება მუშებს შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით

სკალა პრემიებისა

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

საწარმოებში, ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხვი, კოლმეურნეობებში — შრომისუნარიანთა რიცხვი (კაცი)	პრემიების რაოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100 დან 150 მდე	800	600	400
151 „ 200 „	1400	1050	700
201 „ 250 „	1700	1300	850
251 „ 300 „	1900	1400	950
301 „ 400 „	2300	1700	1150
401 „ 500 „	2800	2100	1400
501 „ 750 „	4200	3150	2100
751 „ 1000 „	5600	4200	2800
1001 „ 1250 „	7000	5250	3500
1251 „ 1500 „	8400	6300	4200
1501 „ 1750 „	10000	7500	5000
1751 „ 2000 „	11200	8400	5600
2001 „ 2500 „	12600	9450	6300
2501 „ 3000 „	14000	10500	7000
3001 „ 4000 „	18200	13650	9100
4001 „ 5000 „	22500	16900	11250
5001 „ 7500 „	28100	21100	14050
7501 „ 10000 „	33700	25300	16850
10001 „ 12500 „	36500	27400	18250
12501 „ 15000 „	39500	29600	19700
15001 „ 20000 „	45000	33750	22500
20001 „ 25000 „	50000	37500	25000
25001 „ 30000 „	56200	42150	28100
30001 „ 40000 „	67500	50600	33750
40001 და მეტი	76500	57400	38250

შენიშვნა: 1. საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებშიც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, პრემიები გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 25 პროცენტით პირველი პრემიის თანხასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბ-
ლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 28 იანვრის № 52
დადგენილებით

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები იმისა, რომ ფართოდ გაიშალოს მიწების მორწყვა და მელიორაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად, გადიდდეს უახლოეს ათ წელიწადში სარწყავი მიწების ფართობი 7-8 მილიონი ჰექტარით და დაშრობილი მიწებისა — 15-16 მილიონი ჰექტარით.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების დასახული პროგრამის შესრულება მიწების ფართო მელიორაციის გზით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქტიულობა.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წინაშე დასახულია დიდი ამოცანები — უზრუნველყონ ტექნიკურად სრულყოფილი სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების კომპლექსური მშენებლობა, სარწყავი წყლის დროულად მიწოდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, მშენებლობის თვითღირებულების შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება და მისი ვადების შემცირება.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე კოლექტივებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

მხარს უჭერენ რა მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ინიციატივას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც:

I. სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებში მათი მექანიზაციის სამმართველოებსა და უბნებში, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ტრესტებს

1. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს და უცილობლივ შეასრულებენ სამუშაოთა გეგმებს კაპიტალდაბანდებათა მიხედვით.

2. შეასრულებენ მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმებს სამუშაოთა მაღალი ხარისხით.

3. შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს.

4. შეასრულებენ მშენებლობის თვითღირებულების და ზეგეგმითი მოგების მიღების დავალებებს ბალანსის მიხედვით წლის დამდეგიდან, გასწევენ მომჭირნეობასა და დამზოგველობას მასალებისა და ხელფასის დაწესებული ფონდის ხარჯვაში.

5. შეასრულებენ ახალი ტექნიკის, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის გეგმას, აგრეთვე თვითეული მარკის მანქანაზე გამომუშავების ნორმებს და უზრუნველყოფენ სამშენებლო ტექნიკის უავარიო მუშაობას.

II. საექსპლუატაციო ორგანოების ხაზით

1. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მიწების საირიგაციოდ მომზადების გეგმას და უზრუნველყოფენ მათ გადაცემას საექსპლუატაციოდ აქტებით დაწესებულ ვადებში სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის.

2. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ სამეურნეობათაშორისო სარწყავი ქსელის და მექანიზაციის სამეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო ამოსაშრობი ქსელის ხელით გაწმენდის გეგმას, სატუმბო სადგურების აგრეგატებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რემონტის გეგმას, ჰიდრომეტრიული საგუშაგოების და სხვა წყალსაზომ მოწყობილობათა რემონტის, მშენებლობის გეგმას, წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა გეგმას დაწესებულ ვადებში, როდესაც სამუშაო შესრულდა კარგი ხარისხით და მიღებულია ეკონომია მთლიანად ამ სამუშაოებზე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით.

3. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ წყლის მიწოდების გეგმას დაწესებულ ვადებში, როდესაც საკოლმეურნეობათაშორისო სარწყავი არხების (თვითმდენი) სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი შეადგენს არანაკლებ 0,75-სა და მექანიკური მორწყვის ამავე კატეგორიის არხებზე — 0,85-სა.

4. უზრუნველყოფენ მოსავლიანობის გეგმის შესრულებას კულტურების მიხედვით მომსახურების ზონაში.

5. შეასრულებენ საოპერაციო დანახარჯების გეგმას და მიიღებენ სახსრების ეკონომიას საგეგმო ღირებულებასთან შედარებით.

* *
*

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წახალისების მიზნით დაწესებულია შემდეგი გარდამავალი წითელი დროშები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშამოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, მათთვის დაწესებული მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად, მხედველობაში მიიღება:

— შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის მდგომარეობა;
— შრომის დისციპლინის მდგომარეობა;
— მუშათა სწავლება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება;
— შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი პრემიების მინიჭება სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებსა და მექანიზაციის სამმართველოებში წარმოებს კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო საექსპლუატაციო ორგანოებში — ნახევარი წლისა და წლის განმავლობაში მუშაობის მიხედვით.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ფულადი პრემიები მიეცემათ ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რასაც შესაბამისი საწარმო ან ორგანიზაცია მიიღებს კალენდარული წლის დამდეგიდან.

სასისტემო სამმართველოები პრემიებს იღებენ შესრულებულ წყალთა მეურნეობის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან მიღებული ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის ფულადი პრემიების რაოდენობა განისაზღვრება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, ამ პირობებთან დართული პრემიების იმ სკალის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით.

საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მინიჭებული პრემიიდან იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდო-

ბისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას: საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც დარიცხული პრემია არ აღემატება 2000 მანეთს, — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე; სადაც დარიცხული პრემია 2000 მანეთს აღემატება — დარიცხული პრემიის არანაკლებ 70 პროცენტისა. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს საწარმოს მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მთავარი ინჟინრები, ხელმძღვანელთა მოადგილეები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან ზემდგომი ორგანიზაციის მიერ, პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით: როდესაც საწარმოს, ორგანიზაციას მიენიჭება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიხედვით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა საწარმოს ხელმძღვანელი პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივ სხდომაზე — საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის არა უგვიანეს 30 რიცხვისა: სამშენებლო-სამონტაჟო და მექანიზებულ სამმართველოებში — ყოველი კვარტალისათვის, სასისტემო სამმართველოებში — ნახევარი წლისა და წლისათვის.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების მაჩვენებლები წარდგენილ უნდა იქნას საბუღალტრო აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალებს ტრესტები წარუდგენენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მშენებლობათა და ორგანიზაციათა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, მასალებისა და ფულადი სახსრების მომჭირნეობისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 1 დეკემბრის № 658
დადგენილებით

სკალა პრემიებისა

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

საწარმოებში, ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხვი, კოლმეურნეობებში — შრომისუნარიანთა რიცხვი (კაცი)	პრემიების რაოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100 დან 150 მდე	800	600	400
151 „ 200 „	1400	1050	700
201 „ 250 „	1700	1300	850
251 „ 300 „	1900	1400	950
301 „ 400 „	2300	1700	1150
401 „ 500 „	2800	2100	1400
501 „ 750 „	4200	3150	2100
751 „ 1000 „	5600	4200	2800
1001 „ 1250 „	7000	5250	3500
1251 „ 1500 „	8400	6300	4200
2501 „ 3000 „	14000	10500	7000
3001 „ 4000 „	18200	13650	9 00
4001 „ 5000 „	22500	16900	11250
5001 „ 7500 „	28100	21100	14050
7501 „ 10000 „	33700	25300	16850
10001 „ 12500 „	36500	27400	18250
12501 „ 15000 „	39500	29600	19750
15001 „ 20000 „	45000	33750	22500
20001 „ 25000 „	50000	37500	25000
25001 „ 30000 „	56200	42150	28100
30001 „ 40000 „	67500	50600	37750
40001 და მეტი	76500	57400	38250

შენიშვნა: 1. საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებშიც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, პრემიები გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 25 პროცენტით პირველი პრემიის თანხასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 28 იანვრის № 52
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

სკკპ XXIII ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები და დასახა მათი განხორციელების გზები.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ დამტკიცებული 1966-1970 წლების ახალი ხუთწლიანი გეგმა მოწოდებულია უზრუნველყოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება.

„საქსოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე კოლექტივები ჩაებნენ შეჯიბრებაში ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ჩატარებისა და მთელი მექანიზებული სამუშაოების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მხარს უჭერენ რა მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ინიციატივას სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც:

საქსოფლტექნიკის რაიონულ განყოფილებებში

(შეჯიბრების შედეგები შეჯამდება კვარტლის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ საქონელბრუნვის, მოცემული ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების გეგმას კარგი ხარისხით.

2. მიაღწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორების და კომბაინების ტექნიკურ მზადყოფნას საგაზაფხულო თესვისა და მოსავლის აღებისათვის, შეამცირებენ ტექნიკის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს (იმ მეურნეობებში, რომელთა მანქანა-ტრაქტორთა პარკი მიღებულია კომპლექსური ტექნიკური მომსახურებისათვის).

3. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ სამეურნეო წესით განსახორციელებელი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლო-

ბის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, ბაზებსა და საწყობებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის გეგმებს.

4. გაადიდებენ ერთი მანეთის ძირითადი და საბრუნავი ფონდების სასაქონლო პროდუქციის გამოშვებას, შეამცირებენ ხარჯებს ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე (გეგმასთან შედარებით).

5. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების გეგმას, ხოლო იქ, სადაც მოგება გეგმით არ არის გათვალისწინებული, — შეამცირებენ ზარალს (გეგმასთან შედარებით), აგრეთვე შეამცირებენ წარმოებისა და ბრუნვის ხარჯებს.

6. დააჩქარებენ საქონლის ბრუნვადობას და არ დაუშვებენ ზეგეგმითს ნაშთებს.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, როდესაც შესრულებულია დაწესებული მაჩვენებლები, მხედველობაში მიიღება აგრეთვე შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის, შრომის დისციპლინის მდგომარეობა, აგრეთვე რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხაზით ჩატარებული მუშაობა.

* *
*

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წახალისების მიზნით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ერთი გარდამავალი წითელი დროშა, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს ფულადი პრემიები მიეცემათ ზეგეგმითი მოგების ან იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რომელიც საწარმომ, ორგანიზაციამ მიიღო პროდუქციის თვითღირებულების (ბრუნვის ხარჯების) შემცირებისაგან კალენდარული წლის დამდეგიდან.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის ფულადი პრემიების რაოდენობა განისაზღვრება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით ამ პირობებთან დართული პრემიების იმ სკალის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით.

იმ მუშათა, სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას: საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც დარიცხული პრემია შეადგენს 2000 მანეთზე ნაკლებს, —

გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, სადაც დარიცხული პრემია 2000 მანეთს აღემატება — საწარმოსათვის დარიცხული პრემიის არანაკლებ 70 პროცენტისა. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი სპეციალისტები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოოს, ორგანიზაციას მიეკუთვნება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა საწარმოს ხელმძღვანელი პროფკავშირის მუშათა, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 30 რიცხვისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლეგიის და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე საბუღალტრო ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშას და მოსამსახურეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებისა და საამქროების კოლექტივებს შორის, აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრება ყველა მუშას შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 1 დეკემბრის № 658
დადგენილებით

სკალა პრემიებისა

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

საწარმოებში, ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხვი, კოლმეურნეობებში — შრომისუნარიანთა რიცხვი (კაცი)	პრემიების რაოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100 დან 150 მდე	800	600	400
151 „ 200 „	1400	1050	700
201 „ 250 „	1700	1300	850
251 „ 300 „	1900	1400	950
301 „ 400 „	2300	1700	1150
401 „ 500 „	2800	2100	1400
501 „ 750 „	4200	3150	2100
751 „ 1000 „	5600	4200	2800
1001 „ 1250 „	7000	5250	3500
1251 „ 1500 „	8400	6300	4200
1501 „ 1750 „	10000	7500	5000
1751 „ 2000 „	11200	8400	5600
2001 „ 2500 „	12600	9450	6300
2501 „ 3000 „	14000	10500	7000
3001 „ 4000 „	18200	13650	9100
4001 „ 5000 „	22500	16900	11250
5001 „ 7500 „	28100	21100	14050
7501 „ 10000 „	33700	25300	16850
10001 „ 12500 „	36500	27400	18255
12501 „ 15000 „	39500	29600	19750
15001 „ 20000 „	45000	33750	22500
20001 „ 25000 „	50000	37500	25000
25001 „ 30000 „	56200	42150	28100
30001 „ 40000 „	67500	50600	37750
40001 და მეტი	76500	57400	38250

შენიშვნა: 1. საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებშიც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, პრემიები გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარღამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 25 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუ-
მის 1967 წლის 28 იანვრის № 52
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

აჩაღებს რა სოციალისტურ შეჯიბრებას, საბჭოთა ხალხი უმაგალითო აღმავლობით შრომობს იმისათვის, რომ განახორციელოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დიადი გეგმები, რომლებიც დასახულია სკკპ XXIII ყრილობის მიერ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის და სკკპ XXIII ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ღონისძიებანი თანმიმდევრულად ტარდება ცხოვრებაში, რასაც თავისი ნაყოფი მოაქვს. მატულობს მარცვლის, მეცხოველეობის პროდუქტების, ტექნიკური კულტურების წარმოება და დამზადება.

პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების წინაშე დასახულია დიდი ამოცანები მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების, ბალახთა თესლის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის, მათი დაცვა-შენახვის, პროდუქციის წარმოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების, ბრუნვის ხარჯების შემცირების, მოგების გადიდების, ახალი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში.

პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე კოლექტივებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

მხარს უჭერენ რა მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ინიციატივას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ საფქვავი, კომბინირებული საკვების საწარმოების, პურის მიმღები პუნქტებისა და ბაზების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც:

I. საფქვავი და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოებში

(შეჯიბრების შედეგები შეჯამდება კვარტალის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. შეასრულებენ ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების ასორტიმენტულად გამომუშავების გეგმას და ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების გამოსავლიანობის დაწესებულ ნორმებს.

2. მიაღწევენ იმას, რომ არ დაუშვან რეკლამაციები პროდუქციის ხარისხზე, მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების დანაკლისი.

3. გადაჭარბებით შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას.

4. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მოგებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმას.

5. შეასრულებენ ახალი ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის გეგმას.

6. შეასრულებენ სამეურნეო წესით განსახორციელებელი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმას და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმას სამუშაოთა ჩინებული და კარგი ხარისხით.

საფქვავმა საწარმოებმა, რომლებიც პურის მიღების ოპერაციებს ახორციელებენ, აგრეთვე უნდა შეასრულონ პურის მიმღები საწარმოებისათვის გათვალისწინებული პირობები (განაყოფი II, პუნქტები 1, 6, 7).

II. პურის მიმღებ პუნქტებში, ელევატორებსა და ბაზებში

(შეჯიბრების შედეგები შემოწმდება კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით)

1. მიაღწევენ პურის, აგრეთვე მარცვლეული, ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, სიმინდის ჰიბრიდული და ჯიშიანი თესლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დაცვა-შენახვას (არ დაუშვებენ მარცვლისა და თესლის დანაკლისს, მათი ხარისხის გაუარესებასა და გაფუჭებას).

მარცვლეული, ზეთოვანი კულტურების, სიმინდისა და ბალახთა თესლს დაიყვანენ სათეს კონდიციებამდე.

2. შეასრულებენ ახალი ტექნიკის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის გეგმას, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონის დავალებებს.

3. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას.

4. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების გეგმას და შეამცირებენ მიმოქცევის ხარჯებს, შესრულებული კომპლექსური ტვირთბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით.

5. შეასრულებენ სამეურნეო წესით განსახორციელებელი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმას და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმას სამუშაოთა ჩინებული და კარგი ხარისხით.

6. შეასრულებენ ახალი მოსავლის პურის მისაღებად ტექნიკური ბაზის მომზადების გეგმას დაწესებულ ვადებში.

7. შეასრულებენ დაწესებული კონდიციების მარცვლის, პროდუქციისა და თესლის გაგზავნის გეგმას სარაიონთაშორისო მიწოდებათა წესით.

პურის მიმღებმა პუნქტებმა, ელევატორებმა, ბაზებმა, რომლებსაც საფქვავი და კომბინირებული საკვების საამქროები აქვთ, აგრეთვე უნდა შეასრულონ სამრეწველო საწარმოებისათვის გათვალისწინებული პირობების პუნქტები 1, 3 და 4.

III. სარემონტო-მექანიკურ და ტარის სახელოსნოებში

(შეჯიბრების შედეგები შემოწმდება კვარტალის განმავლობაში მუშაობის მიხედვით)

1. შეასრულებენ მოცემული ნომენკლატურისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების გეგმას, როდესაც ადგილი არ ექნება რეკლამაციას პროდუქციის ხარისხზე (ტარის ხარისხის გაუარესება ტარის სარემონტო სახელოსნოებში).

2. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ დაგროვების გეგმას და მიაღწევენ პროდუქციის გეგმით დაწესებული თვითღირებულების შემცირებას.

3. შეასრულებენ ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმას.

4. ხარისხიანად და დროულად შეასრულებენ სარემონტო სამუშაოებს მექანიკურ სახელოსნოებში.

5. შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას.

6. შეასრულებენ სამეურნეო წესით განსახორციელებელი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმას მოცულობისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის მიხედვით, სამუშაოთა ჩინებული და კარგი ხარისხით, ამასთან შეამცირებენ მშენებლობის ღირებულებას.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას I, II და III განაყოფებით გათვალისწინებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მათთვის დაწესებული მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად, მხედველობაში მიიღება შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის, შრომის დისციპლინის მდგომარეობა, სანიტარული მდგომარეობა, აგრეთვე რაციონალიზაციისა და გამომგონებლობისათვის წარმოებული მუშაობა.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წახალისების მიზნით დაწესებულია შემდეგი გარდამავალი წითელი დროშები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭება წარმოებს თვითეული კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს პრემიები მიენიჭებათ ზეგეგმითი მოგების ან იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც შესაბამისმა საწარმომ ან ორგანიზაციამ მიიღო პროდუქციის თვითღირებულების ან მიმოქცევის ხარჯების შემცირებისაგან კალენდარული წლის დამდეგიდან.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის ფულადი პრემიების ოდენობა განისაზღვრება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, ამ პირობებთან დართული პრემიების იმ სკალის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით.

საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მინიჭებული პრემიიდან იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას: საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც დარიცხული პრემია არ აღემატება 2000 მანეთს — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე; სადაც დარიცხული პრემია 2000 მანეთს აღემატება — დარიცხული პრემიის არანაკლებ 70 პროცენტისა. დანარჩენი თანხა გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოს, ორგანიზაციას მიეკუთვნება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

ამ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას გამოიტანენ ზემდგომი სამეურნეო ორგანოები პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა საწარმოს ხელმძღვანელი, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს კოლეგიის და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე კვარტალის განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის შედეგების მიხედვით, არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 30 რიცხვისა, საწარმოს ან ორგანიზაციის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ ყველა მუშას და მოსამსახურეს უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოში ბრიგადების, საამქროების, ცვლების კოლექტივებს შორის, აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრება ყველა მუშას შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 1 დეკემბრის № 658
დადგენილებით

სკალა პრემიებისა

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

საწარმოებში, ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხვი, კოლმეურნეობებში — შრომისუნარიანთა რიცხვი (კაცი)	პრემიების რაოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100 დან 150 მდე	800	600	400
151 „ 200 „	1400	1050	700
201 „ 250 „	1700	1300	850
251 „ 300 „	1900	1400	950
301 „ 400 „	2300	1700	1150
401 „ 500 „	2800	2100	1400
501 „ 750 „	4200	3150	2100
751 „ 1000 „	5600	4200	2800
1001 „ 1250 „	7000	5250	3500
1251 „ 1500 „	8400	6300	4200
1501 „ 1750 „	10000	7500	5000
1751 „ 2000 „	11200	8400	5600
2001 „ 2500 „	12600	9450	6300
2501 „ 3000 „	14000	10500	7000
3001 „ 4000 „	18200	13650	9100
4001 „ 5000 „	22500	16900	11250
5001 „ 7500 „	28100	21100	14050
7501 „ 10000 „	33700	25300	16850
10001 „ 12500 „	36500	27400	18250
12501 „ 15000 „	39500	29600	19700
15001 „ 20000 „	45000	33750	22500
20001 „ 25000 „	50000	37500	25000
25001 „ 30000 „	56200	42150	28100
30001 „ 40000 „	67500	50600	35750
40001 და მეტი	76500	57400	38250

შენიშვნა: 1. საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებშიც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, პრემიები გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 25 პროცენტით.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 28 იანვრის № 52
დადგენილებით

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

საქართველოს მშრომელები, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად, ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და სკკპ პროგრამას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ, დიდ წარმატებებს აღწევენ ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად და ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

ხუთწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

შეგნებული აქვთ რა ამ ამოცანების დიდი მნიშვნელობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება 1966-1967 წლების სახელმწიფო გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენებისათვის, რესპუბლიკაში ახალი ტყეების შექმნისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

მხარს უჭერენ რა სატყეო მეურნეობის მუშათა, სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პატრიოტულ თაოსნობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან სატყეო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც:

1. დროულად და სრულად გამოყოფენ ტყესაკაფის ფონდს როგორც მთავარი, ისე შუალედი სარგებლობისათვის.

2. მთლიანად და ხარისხიანად შეასრულებენ ტყის მოვლითი ჭრის გეგმას ფართობისა და მასის მიხედვით.

3. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ტყის თესვისა და დარგვის გეგმას და დროზე ჩაატარებენ ტყის კულტურების მოვლას.

4. მიაღწევენ ტყის კულტურების გახარების ყველაზე მაღალ პროცენტს (აღირიცხება წლის მანძილზე, IV კვარტალში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით).

5. შეასრულებენ ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის გეგმას.

6. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ სატრაქტორო სამუშაოთა გეგმას და შეამცირებენ მათ თვითღირებულებას (შეჯიბრების წლიური შედეგების მიხედვით).

7. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მერქან-ბუჩქნარის და ნაყოფ-ტექნიკური ჯიშების თესლის თესვის, სკოლებისა და პლანტაციების გაშენების, ნათესებისა და ნარგავების მოვლისა და ნიადაგის მომზადების გეგმებს.

8. შეასრულებენ ფართობის ერთეულზე სარგავი მასალის გამოყვანის დაწესებულ გეგმას, წლის განმავლობაში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით.

9. შეასრულებენ საკუთარი სახსრების მობილიზაციის გეგმას.

10. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მერქნის გამოზიდვის გეგმას.

11. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ საერთო, სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმას.

12. მიიღებენ ზეგეგმით მოგებას სამეურნეო საქმიანობით, მათ შორის ნარჩენებიდან.

13. შეასრულებენ სამეურნეო წესით წარმოებული კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმას სამუშაოთა კარგი ხარისხის დაცვით.

14. აითვისებენ შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიებათა განსახორციელებლად გათვალისწინებულ სახსრებს და მიაღწევენ საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაციას.

15. შეასრულებენ ახალი ტექნიკის და მოწინავე, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის გეგმას.

16. მინიმალურად შეამცირებენ ტყის უნებართვო ჭრას, ტყის წესების სხვა დარღვევებს და უზრუნველყოფენ ტყის უნებართვო გაჩეხვის შესახებ შედგენილ ყველა აქტის დროულად განხილვას და დამნაშავეთა დასჯას.

17. გაატარებენ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, რათა ხანძრის არცერთ შემთხვევას არ ჰქონდეს ადგილი, ამასთან, შეასრულებენ ტყის დაცვის ღონისძიებათა გეგმას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად წესდება შემდეგი ჯილდოები:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის და სატყეო, ქაღალდისა და ხის დამუშავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის გასაცემი ფულადი პრემიების რაოდენობა განისაზღვრება ამ პირობებთან დართული პრემიის სკალის შესაბამისად, რომელიც დამტკი-

ცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სატყეო მეურნეობათა კოლექტივებს პრემიები მიეცემათ ზეგეგმითი მოგების ან იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც საწარმომ მიიღო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან კალენდარული წლის დამდეგიდან.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება სატყეო, ქაღალდისა და ხის დამუშავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე, საბუღალტრო ანგარიშების მონაცემების საფუძველზე — არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 30 რიცხვისა.

შეჯიბრებაში წარჩინებულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას საწარმოებში, სადაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთზე ნაკლებია, გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, ხოლო სადაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთს აღემატება—საწარმოსათვის დარიცხული პრემიის 70 პროცენტამდე. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ბინების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს საწარმოს მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

საწარმოთა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოს მიეკუთვნება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი პროფკავშირის მუშათა, საფაბრიკო-საქარხნო, სამშენებლო ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ საწარმოებისა და ორგანიზაციების ყველა მუშას, სპეციალისტს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს და მოსამსახურეს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მონათესავე საწარმოების კოლექტივებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ინდივიდუალური შეჯიბრების გაშლას ყველა მუშას შორის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1966 წლის 1 დეკემბრის
№ 658 დადგენილებით

ᲡᲙᲐᲚᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡᲐ

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწვლობის მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

საწარმოებში, ორგანიზაციებში მომუშავეთა ოიცხვი, კოლმეურნეობებში — შრომისუნარიანთა რიცხვის (კაცი)	პრემიის რაოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100 დან 150 მდე	800	600	400
151 „ 200 „	1400	1050	700
201 „ 250 „	1700	1300	850
251 „ 300 „	1900	1400	950
301 „ 400 „	2300	1700	1150
401 „ 500 „	2800	2100	1400
501 „ 750 „	4200	3150	2100
751 „ 1000 „	5600	4200	2800
1001 „ 1250 „	7000	5250	3500
1251 „ 1500 „	8400	6300	4200
1501 „ 1750 „	10000	7500	5000
1751 „ 2000 „	11200	8400	5600
2001 „ 2500 „	12600	9450	6300
2501 „ 3000 „	14000	10500	7000
3001 „ 4000 „	18200	13650	9100
4001 „ 5000 „	22500	16900	11250
5001 „ 7500 „	28100	21100	14050
7501 „ 10000 „	33700	25300	16850
10001 „ 12500 „	36500	27400	18250
12501 „ 15000 „	39500	29600	19700
15001 „ 20000 „	45000	33750	22500
20001 „ 25000 „	50000	37500	25000
25001 „ 30000 „	56200	42150	28100
30001 „ 40000 „	67500	50600	35750
40001 და მეტი	76500	57400	38250

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებშიც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, პრემიები გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 25 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

6 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 3 იანვარი, № 2.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 3 იანვრის № 2
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭო შექმნილია თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივლისის № 421 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან კონსულტატიური საბჭოს შექმნის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭო წარმოადგენს სათათბირო კონსულტატიურ ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს ვაჭრობის აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

— საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა და დაგეგმვა;

— ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერსპექტიული განვითარება;

— ცალკეულ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების და ბაზრის ტევადობის და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლა;

— სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ორგანიზაცია, წარმოებასთან ვაჭრობის ურთიერთკავშირის უფრო რაციონალური ფორმების გამოძებნა;

—საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და ტექნიკა, სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია, ვაჭრობის პროგრესული მეთოდების, სავაჭრო რეკლამის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა, ვაჭრობის მართვის რაციონალური მეთოდების შემუშავება, სავაჭრო ქსელის დისლოკაცია და ცალკეული სავაჭრო სისტემების საქმიანობის ზონების გამიჯვნა;

— სავაჭრო ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზი;

— შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია და დაგეგმვა, სავაჭრო კადრების აღზრდა, მომზადება და გადამზადება;

— სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგია, ორგანიზაცია და აღრიცხვის მექანიზაცია.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭო თავისი საქმიანობის პროცესში დაამყარებს კავშირს უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, ამასთან მოიწვევს ცალკეული საკითხების განსახილველად თავის სხდომებზე აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტებს.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული კონსულტატიური საბჭო თავის მუშაობას ეწევა მისთვის დამტკიცებული გეგმების მიხედვით.

5. სათანადოდ დასაბუთებულ მოხსენებებს, წინადადებებს სამუშაოთა გეგმით გათვალისწინებულ და საკონსულტაციო საბჭოს განსახილველად შესატან საკითხებზე მოამზადებენ კონსულტატიური საბჭოს წევრები ან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის შესაბამისი სამმართველოები და განყოფილებები.

6. საკითხების ყოველმხრივი და კვალიფიციური მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, კონსულტატიურ საბჭოსთან შეიქმნება 6 მუდმივმოქმედი სექცია:

— ვაჭრობის ეკონომიკისა და დაგეგმვისა;

— საცალო და საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვისა;

მრეწველობასთან ვაჭრობის ურთიერთკავშირის ორგანიზაციისა, საქონლის ასორტიმენტის და ხარისხისა;

— საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისა;

— ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვისა;

— ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაპროექტებისა და მშენებლობისა.

ამ მუდმივი სექციების თავმჯდომარეებს დაამტკიცებს საბჭო, საბჭოს წევრთა რიცხვიდან. თვითეული მუდმივმოქმედი სექციის შემადგენლობას განსაზღვრავს საბჭო 5-7 კაცის რაოდენობით. სექციის პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საბჭო სექციის თავმჯდომარის წარდგენით.

7. კონსულტატიურ საბჭოში შემოსული მასალების განხილვა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) მასალების წინასწარი განხილვა და კონსულტატიური საბჭოსათვის რეკომენდაციის პროექტის მომზადება წარმოებს საბჭოს შესაბამის სექციებში;

სექციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად კონსულტატიურ საბჭოს, სექციის წევრების გარდა, შეუძლია მოიწვიოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის დაინტერესებული სამმართველოების, განყოფილებების და მათი ადგილობრივი ორგანოების, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლები;

ბ) საბჭოს მუდმივი სექციების თავმჯდომარეები (ან მათი მოადგილეები), რომლებსაც დავალებული აქვთ საკითხების განხილვა და მომზადება, წარუდგენენ კონსულტატიურ საბჭოს რეკომენდაციების პროექტს სექციებზე საკითხების განხილვის შედეგებით;

გ) სექციისა და კონსულტატიური საბჭოს სხდომები გაფორმდება ოქმით.

კონსულტატიური საბჭოს რეკომენდაციები განხილულ საკითხებზე მიღებულად ითვლება, თუ მას ეთანხმება საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. ამასთან ეს რეკომენდაციები სავალდებულოა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სამმართველოებისა და განყოფილებებისათვის, მას

შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ან ვაჭრობის სამინისტროს კოლეგია და ცეკავშირის გამგეობა.

8. კონსულტატიური საბჭოს წევრებს უფლება აქვთ მიიღონ დადგენილი წესით საჭირო მასალები, ცნობები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის განყოფილებებისა და სამმართველოებისაგან განსახილველ საკითხებზე, სტატისტიკური კრებულები და სხვა პუბლიკაციები, რომლებსაც გამოსცემენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, და რომლებიც შეეხება ვაჭრობის აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხებს, ისარგებლონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის ბიბლიოთეკის ლიტერატურით, აგრეთვე არქივის მასალებით; მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის და ცეკავშირის გამგეობის სხდომებში.

9. იმისადმი კონტროლს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის დარგობრივმა სამმართველოებმა, განყოფილებებმა წარუდგინონ კონსულტატიურ საბჭოს მასალები გეგმის მიხედვით, აგრეთვე იმისადმი კონტროლს, რომ მათ შეასრულონ და დანერგონ პრაქტიკაში ამ საბჭოს რეკომენდაციები, დამტკიცებული საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ, განახორციელებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველო და ცეკავშირის საგეგმო-ეკონომიური განყოფილება საერთო საფუძვლებზე.

10. საბჭოს მთელი ტექნიკური მუშაობა (მასალების გამრავლება, დაგზავნა, აგრეთვე სამეურნეო მომსახურება) წარმოებს საერთო საფუძვლებზე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების თანაბრად.

---

7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-4 პუნქტის მოქმედება რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებზე — რუსთავზე, ჭიათურაზე, გორზე, ფოთსა და ტყიბულზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 3 იანვარი № 4.

8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შექმნის შესახებ

ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მუშაობის, სანადირო ფაუნის დაცვისა და კვლავწარმოების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის მუშაკთა რაოდენობის, ხელფასის თვიური ფონდის და მათი შენახვის ხარჯების ანგარიშში 20 ერთეულის რაოდენობით, ხელფასის 1.924 მანეთის თვიური ფონდით და წელიწადში 4.500 მანეთის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებით, № 1 დანართის თანახმად, რის გამო გაუქმდეს 1967 წლის 16 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის

ცენტრალურ აპარატში ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის საშმართველო 9 საშტატო ერთეულით ხელფასის 1.225 მანეთის თვიური ფონდით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველო 1967 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილ იქნან სამეურნეო ანგარიშზე ისე, რომ არ შეიცვალოს ურთიერთდამოკიდებულება ბიუჯეტთან.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შემდეგი ფუნქციები: გაატაროს ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობებში ბიოტექნიკური და დაცვითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ფლორისა და ფაუნის გამდიდრებასა და დაცვას, განახორციელოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო ფაუნის მოშენებისა და გამრავლების ღონისძიებანი, მოაწესრიგოს ნადირობა და ზედამხედველობა გაუწიოს სამონადირეო კანონმდებლობის შესრულებას, უხელმძღვანელოს სამონადირეო ორგანიზაციების მუშაობას სამონადირეო მეურნეობის განვითარების დარგში.

4. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობიდან სახელმწიფო ნაკრძალები და სამონადირეო მეურნეობანი, № 2 დანართით გათვალისწინებული სიის თანახმად, აგრეთვე სახელმწიფო სამონადირეო ინსპექცია და ეგერთა სამსახური მთელი შენობებით, ნაგებობებით და სხვა ძირითადი საშუალებებითა და ქონებით 1967 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, შრომის, კაპიტალურ დაბანდებათა, კაპიტალური რემონტის და საოპერაციო ხარჯების გეგმებით, რომლებიც დამტკიცებულია 1967 წლისათვის.

5. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 აგვისტოს № 497 დადგენილება „ყვარლის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის მოწყობის შესახებ“ იმის გამო, რომ ყვარლის სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ძირითად საქმიანობას ამჟამად წარმოადგენს სატყეო მეურნეობის გაძღოლა, ხოლო სამონადირეო მეურნეობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ განვითარებულა.

6. გამოეყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკთა ხელფასის პერსონალური დანამატების ლიმიტი 250 მანეთის ოდენობით.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ საქართველოს სსრ

1967 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 5 იანვარი, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 5 იანვრის № 6
დადგენილების დანართი № 1

საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ცენტრალური აპარატისა

	შტატის რაოდენობა
სამმართველოს უფროსი	1
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1
მდივანი-სტენოგრაფისტი	1
უფროსი მგეგმავი-ეკონომისტი	1
მთავარი მონადირეობის მცოდნე	1
მთავარი მეტყევე-ინჟინერი	1
უფროსი მონადირეობის მცოდნე	1
მეტყევე-ინჟინერი	1
მონადირეობის მცოდნე	1
მონადირეობის მცოდნე — მონადირეობის სახელმწიფო ინსპექტორი	2
უფროსი ზოოტექნიკოსი	1
მთავარი ბუღალტერი	1
რევიზორ-ბუღალტერი	1
მოანგარიშე-მოლარე	1
საქმისმწარმოებელი	1
მემანქანე	1
მსუბუქი ავტომანქანის შოფერი	2
შიკრიკი-დამლაგებელი	1
სულ	20

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 5 იანვრის № 6
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

საწარმოებისა, რომლებიც გადაეცა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს

I. ნაკრძალები

ლაგოდეხის
ვაშლოვანის
საგურამოს
ბორჯომის
აჯამეთის
სათაფლიას
კინტრიშის
რიწის
ბიჭვინთა-მიუსერის
მარიამჯვარის
ბაბანეურის
ბაცარის
კოლხიდის
ალგეთის

II. სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები

გარდაბნის
ყორულის
ივრის
ჩაჩუნის

III. სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობა

კაცობურის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

9 ქართული ღვინოების ასორტიმენტის და მათი სახელწოდების დაზუსტების შესახებ

გამოშვებული ქართული ღვინოების ასორტიმენტისა და სახელწოდების დაზუსტების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, სამტრესტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წინადადება და დამტკიცდეს ქართული ღვინოების 45 მარკა, დანართით გათვალისწინებული ასორტიმენტისა და სახელწოდების მიხედვით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და სამტრესტს:

ა) შეწყვიტონ 1967 წლიდან შემდეგი ღვინოების გამომუშავება: „სუფრის თეთრი“ და „სუფრის წითელი“ № 10;

ბ) 3თვის განმავლობაში მოამზადონ ქართული ღვინოების ეტიკეტების ლამაზად გაფორმებული დაწესებული მარკების ესკიზები სამხატვრო საბჭოზე დასამტკიცებლად;

გ) შემოიღონ პასპორტები ღვინის თვითეულ მარკაზე;

დ) ახალი მარკის ღვინოები გამოუშვან მომავალში იმ პირობით, თუ ისინი არ არიან წინათ წარმოებული ღვინოების ანალოგიური და თუ ნავარაუდევი ახალი პროდუქცია უზრუნველყოფილია მისი წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით შემდეგი მოცულობით: მარკიანი ღვინისა — 5 ათასი დეკალიტრის და ორდინარული ღვინისა — 50 ათასი დეკალიტრისა, ამ პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ქართული ყურძნის ღვინოების რესპუბლიკურ ტექნიკურ პირობებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 7 იანვარი, № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 7 იანვრის № 9
დადგენილების დანართი

ქართული ღვინოების ასორტიმენტი

დასახელება

სუფრის მშრალი თეთრი სამარკო ღვინოები

„წინანდალი“
„გურჯაანი“
„ნაფარეული“
„მუხრანული“
„ცოლიკაური“
„ჩინური“
„ტიბაანი“
„სვირი“
„რქაწითელი“ (ნაცვლად „კარდანახისა“)
„მანავი“
„ბახტრიონი“

სუფრის მშრალი სამარკო წითელი ღვინოები

„თელიანი“
„მუკუზანი“
„ნაფარეული“ (წითელი)
„ყვარელი“
„ხიდისთაური“

სუფრის მშრალი ორდინარული ღვინოები

„იმერული“
„კახური“ (ნაცვლად „კახური № 8“-სა)
„თელავი“ (ნაცვლად „№ 23“-სა)
„საფერავი“ (ნაცვლად „საფერავი № 5“-სა)
„იზაბელა“ (წითელი)

ნატურალური ნახევრადტკბილი ღვინოები

„ხვანჭკარა“
„უსახელოური“
„ქინძმარაული“
„ახაშენი“
„ოჯალეში“
„ჩხავერი“
„ტვიში“
„თეთრა“
„ლიხნი“
„ფსოუ“
„ახმეტური“
„ატენური“ (ცქრიალა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგარი ღვინოები
სამარკო და სადესერტო

„კარდანახი“
(პორტვეინის ტიპი)
„ანაგა“
(მადერას ტიპი)
„საამო“
„სალხინო“
„მარნეული“ (კაგორი)
(ნაცვლად „ყვარელისა“)
„აფხაზეთის თაიგული“

ორდინარული

„შილდა“ (ნაცვლად „პორტვეინი № 13“-სა)
„ხირსა“
„რატევანი“ (ნაცვლად „პორტვეინი № 18“-სა)
„არგვეთა“ (ნაცვლად „თეთრი პორტვეინისა“)
„ალაზანი“ (ნაცვლად „ველისციხისა“)
„ვერმუტი“ (თეთრი)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილების 1-ლ პუნქტში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილების — „მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხების“ 1-ლი პუნქტის პირველი სამი აბზაცი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, განაცხადები მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ შეაქვთ ქ. თბილისის იმ რაიაღმასკომებში, რომელთა ადმინისტრაციულ ტერიტორიაზეც არიან განლაგებული. რაიაღმასკომები განიხილავენ წარმოდგენილ განაცხადებს და სათანადო გადაწყვეტილებით აღძრავენ შუამდგომლობას მიწების გამოყოფაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების სახელწოდების, მოთხოვნილი მიწის ფართობების ოდენობისა და იმ რაიონების ჩვენებით, სადაც მოთხოვნილია მიწის გამოყოფა.

რესპუბლიკის სხვა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომები განიხილავენ განაცხადებს სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების დასკვნების გათვალისწინებით და თავიანთ გადაწყვეტილებებს მიწების გამოყოფის შესახებ წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საქალაქო და რაიონული აღმასკომები — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 20 იანვარი, № 21.

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 579 და 1958 წლის 22 ივლისის № 453 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 579 დადგენილებისა „თანამდებობის პირთა მივლინების დროს დაშვებული ზედმეტობისა და დარღვევების აღმოფხვრის შესახებ“ და პუნქტები მე-3 და მე-4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 22 ივლისის № 453 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების თანამდებობის პირთა მივლინების დროს დაშვებული დარღვევების აღმოფხვრის შესახებ“.

2. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს მტკიცედ დაიცვან მივლინების ნებართვის მიცემის დადგენილი წესი, გააძლიერონ კონტროლი მივლინების ვადებისადმი და უზრუნველყონ ამ მიზნისათვის გაღებული სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 20 იანვარი, № 22.

12 ძეგლების დამზადება-დადგმის, აგრეთვე ამ მიზნებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის საქმეში არსებული დარღვევებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში სისტემატურად ირღვეოდა საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 სექტემბრის დადგენილება № 905 „ძეგლების აგებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვაში ზედმეტობათა აცილების შესახებ“. სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაცია, თავისი თუ ცალკეული მოქანდაკის პირადი ინიციატივით, ზემდგომი ორგანოების ნებადაურთველად აფორმებდა ხელშეკრულებებს ძეგლ-ბიუსტების, საფლავის ძეგლების, მონუმენტების, ობელისკებისა და სხვა ძეგლების დამზადება-დასადგმელად და უყაირათოდ ხარჯავდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სახსრებს.

ასე მაგალითად: წალენჯიხის რაიონის კომუნალური მეურნეობის კომბინატს რაიონის ცენტრში უნებართვოდ აქვს დაწყებული უ. მიქავას ოთხმეტრიანი ქანდაკების დადგმა, რაზედაც დღეისათვის თბილისის სამხატვრო ფონდის საწარმოო კომბინატის ანგარიშზე გადარიცხულია 7582 მანეთი.

ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1965 წლის 25 აგვისტოს № 317 და 1966 წლის 25 სექტემბრის № 86 გადაწყვეტილე-

ბათა საფუძველზე რაიონის ცენტრში ი. ჭავჭავაძის ძეგლის დასადგმელად გამოყოფილ იქნა 28.370 მანეთი. ეს ძეგლი დღემდე დამზადებული არ არის, მაშინ როდესაც თბილისის სამხატვრო ფონდის საწარმოო კომბინატს ამ ღანიშნულებით მიღებული აქვს 23437 მანეთი.

საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ობელისკის აგებისათვის ნებადაურთველად გადაურიცხა 1965 წელს თბილისის სამხატვრო ფონდის საწარმოო კომბინატს 8.000 მანეთი.

მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთის კოლმეურნეობაში დაიდგა შ. რუსთაველის ძეგლი, მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭომ არ ჩათვალა მიზანშეწონილად ამ ძეგლის დადგმა მისი დაბალი მხატვრული დონის გამო.

ძეგლ-ბიუსტების, საფლავის ძეგლების, ობელისკებისა და სხვა ძეგლების დამზადება-დადგმის და ამ მიზნებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის წესების დარღვევის შემთხვევები იყო აგრეთვე ხობის, ყაზბეგის, სოხუმის, საჩხერის, ვანის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, თერჯოლის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, თეთრიწყაროს რაიონებში.

ანალოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 ივნისის № 481 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 აგვისტოს № 503 დადგენილების მიღების შემდეგაც.

ძეგლ-ბიუსტების, საფლავის ძეგლების, მონუმენტების, ობელისკებისა და სხვა ძეგლების თვითნებურად დამზადება-დადგმის, იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით სუსტ და გაუმართლებელ ნაწარმოებთა გავრცელების აკრძალვისა და ფულადი სახსრების განიავების შემთხვევათა აღკვეთის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოო ორგანიზაციებს, აგრეთვე, რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს მკაცრად იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 ივნისის № 481, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 აგვისტოს № 503 დადგენილებებით და მიიღონ სასტიკი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც თვითნებურად დაარღვევენ ამ დადგენილებებს.

ძეგლების აგება, როგორც წესი განხორციელდეს ბიუჯეტის შესრულების დროს მიღებული ჭარბი შემოსავლის ხარჯზე.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მხატვართა კავშირს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეამოწმონ რესპუბლიკაში არსებული ძეგლების, ძეგლ-ბიუსტების, მონუმენტების, ობელისკების, საპარკო, სარკინიგზო მაგისტრალებისა და გზატკეცილების გასაფო-

რმებლად დადგმული დეკორატიული ქანდაკებების იდეურ-მხატვრული დონე და 1967 წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მათი შემდგომი არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ.

3. აეკრძალოთ თბილისის სამხატვრო ფონდის საწარმოო კომბინატსა და სხვა საწარმოო ორგანიზაციებს:

ა) ძეგლების, ძეგლ-ბიუსტების, საფლავის ძეგლების, მონუმენტებისა და ობელისკების დასამზადებლად შეკვეთების მიღება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად;

ბ) საპარკო, სარკინიგზო მაგისტრალების, გზატკეცილების, ინტერიერებისა და ექსტერიერების გასაფორმებლად განკუთვნილ დეკორატიულ და დაზგურ ქანდაკებათა დასამზადებლად შეკვეთების მიღება საქართველოს მხატვართა კავშირის სამხატვრო საბჭოს მიერ ესკიზების წინასწარი განხილვისა და დამტკიცების გარეშე.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს მხატვართა და არქიტექტორთა კავშირებს სისტემატურად მოაწყონ დასადგმელი ძეგლების, მონუმენტებისა და ობელისკების პროექტების საზოგადოებრივი განხილვები და განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლებისა და მონუმენტების მოდელების წინასწარი გასინჯვები მათი დადგმის ადგილებზე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს მხატვართა კავშირს, საქართველოს სამხატვრო ფონდსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მკაცრად დაიცვან სახელმწიფოებრივი ინტერესები საავტორო ჰონორარების რაოდენობის განსაზღვრისა და მათი გაცემის დროს, არ დაუშვან სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების უყაირათო ხარჯვა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დააწესოს სისტემატური კონტროლი ძეგლების, ძეგლ-ბიუსტების, საფლავის ძეგლების, მონუმენტების, ობელისკებისა და სხვა ძეგლების, აგრეთვე საპარკო, სარკინიგზო მაგისტრალების, გზატკეცილების, ინტერიერებისა და ექსტერიერების გასაფორმებლად განკუთვნილ დეკორატიულ და დაზგურ ქანდაკებათა დასამზადებლად გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ჰონორარების გაცემის სისწორისადმი.

7. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ მისცეს მითითება სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებებს არ გაუნაღდონ სახსრები იმ ორგანიზაციებსა და პირთ, რომლებსაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად ექნებათ შესრულებული ძეგლების, ძეგლ-ბიუსტების, საფლავის ძეგლების, მონუმენტებისა და ობელისკების დამზადება-დადგმის სამუშაოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 25 იანვარი, № 46.

13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილებისა „მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხები", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობისა და მებაღეობის შესახებ" მებაღეობის ნაწილში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 30 იანვრის № 64 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ზომების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 6 თებერვალი, № 75

14 იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან ცდის სახით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 17 დეკემბრის № 948 დადგენილება „იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან ცდის სახით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე" დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, აგრეთვე იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ საბინაო-კომუნალური მეურნეობანი.

2. გადაყვანილ იქნან ცდის სახით 1967 წლის 1 აპრილიდან კომუნალური სასტუმროები, ძირითადად II და III თანრიგისა, დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ის ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასასტუმრო მეურნეობის უზარალო ექსპლუატაცია და მისი რენტაბელობის ამაღლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს იმ წესის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 55 დადგენილებით რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეული საწარმოებისათვის, 1967 წლის 1 მარტისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნუსხა და ძირითადი დებულებანი კომუნალური სასტუმროების გადაყვანისა ცდის სახით 1967 წლის 1 აპრილიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამ დავალების შესრულებისას გათვალისწინებულ იქნას ქ. მოსკოვის იმ სასტუმროების გამოცდილება და მუშაობის წესი, რომლებიც გადაყვანილი არიან მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მოამზადოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად პროექტი მეთოდური მითითებებისა საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოების და ორგანიზაციების დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ და არა უგვიანეს 1967 წლის 1 მაისისა წარმოუდგინონ იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიასთან შესათანხმებლად და შემდგომ დასამტკიცებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების შესაბამის აღმასკომებთან ერთად, 1967 წლის 1 ივნისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის იმ ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სია, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან 1967 წლის 1 ივლისიდან ცდის სახით დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

5. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1967 წლის 15 ივლისისათვის მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შედეგები ცალკეულ კომუნალურ სასტუმროებში დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენებისა იმ ანგარიშით, რომ შემდგომ დაინერგოს ეს სისტემა რესპუბლიკის დანარჩენ კომუნალურ სასტუმროებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 8 თებერვალი, № 79

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 948

1966 წლის 17 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან ცდის სახით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გადაიყვანონ 1967 წლის 1 იანვრიდან ცდის სახით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“, აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანა ცდის სახით დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე განხორციელდეს იმ წესის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 55 დადგენილებით რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეული საწარმოებისათვის.

2. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოამზადონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით დაამტკიცონ მეთოდური მითითებანი საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანისა დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, ამასთან გაითვალისწი-

ნონ ამ მითითებაში საგეგმო მაჩვენებლების ნუსხა და ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნის წესი, აღნიშნული საწარმოების სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1967 წლის 1 აგვისტოსათვის მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

15 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 10 თებერვალი, № 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 10 თებერვლის № 81
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულებით, წარმოადგენს რესპუბლიკურ ორგანოს, მოწოდებულია უზრუნველყოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დარგში და ყოველნაირად გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სახალხო მეურნეობაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის მთავარი ამოცანებია:

— განსაზღვროს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითადი მიმართულებანი;

— ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ დარგთშორისი და უმნიშვნელოვანესი დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების შემუშავებას, რომლებსაც ასრულებენ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებები;

— აამაღლოს მეცნიერულ გამოკვლევათა და ახალი ტექნიკის ათვისების ეფექტიანობა;

— ხელმძღვანელობა გაუწიოს მოწინავე გამოცდილების სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას და პროპაგანდას, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკისა და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქმიანობას, რესპუბლიკის მონაწილეობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობაში და საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში, აგრეთვე რესპუბლიკაში უცხოეთის გამოფენების მოწყობას;

— ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეცნი-

ერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ამ საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე წინადადებებს რესპუბლიკაში პერსპექტიული პერიოდისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებათა მასალების საფუძველზე შეიმუშავებს და წინასწარ, სახალხო მეურნეობის წლიური გეგმების შედგენამდე, წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების და დამთავრებულ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა შედეგების გამოყენების შესახებ;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განსაზღვრავს სამეცნიერო გამოკვლევების, კაპიტალური დაბანდებებისა და მეცნიერების განვითარების დასაფინანსებლად ასიგნობათა საერთო მოცულობას და გაანაწილებს გამოყოფილ სახსრებს რესპუბლიკის სამინისტროებსა, უწყებებსა და მეცნიერებათა აკადემიას შორის, ამასთან უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ყველაზე რაციონალურად წარმართვას და, უწინარეს ყოვლისა, მათ გადაწყვეტას;

დ) სისტემატურად შეამოწმებს საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო-საკვლევი და საცდელი სამუშაოების, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმების შესრულებას;

ე) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს სამეცნიერო გამოკვლევათა ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მოამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წინადადებებს არსებული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების სრულყოფისა და ახალი ასეთი დაწესებულებების შექმნის შესახებ;

ვ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, განსაზღვრავს მეცნიერთა კადრების მომზადების საჭიროებას, რომლებიც დაკავშირებული არიან რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებთან; შეიმუშავებს ღონისძიებებს მეცნიერთა კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის;

ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების შესწავლის, გავრცელებისა და პროპაგანდის საქმეს, განახორციელებს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების საქმიანობისადმი ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის საქმიანობას;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობას და რესპუბლიკის მონაწილეობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობაში;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს, საქართველოს სსრ სავაჭრო პალატასთან ერთად, საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში რესპუბლიკის მონაწილეობას, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის გამოფენების მოწყობას;

კ) განახორციელებს ხელმძღვანელობას მუშაობისადმი, რომელიც რესპუბლიკაში ტარდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას უფლება ენიჭება:

ა) შეამოწმოს რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზეციებსა და სამრეწველო საწარმოებში სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ტექნიკური დონის, სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისა და წარმოებაში მათი შედეგების დანერგვის მდგომარეობა, ის, თუ რამდენად შეესაბამება სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა წლიური გეგმები რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეამოწმოს მდგომარეობა მეცნიერთა კადრების მომზადებისა სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში;

ბ) განიხილოს სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა ობიექტების და მათი საცდელ-სამრეწველო ბაზების მშენებლობის სიები;

გ) აძლიოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს საკალდებულო მითითებანი შეწყვიტონ ისეთი სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებსაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ, და მათი დაფინანსება;

დ) განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებანი სადავო საკითხებზე, რომლებიც რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის წამოიჭრება სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა განხორციელების პროცესში;

ე) მიიღოს კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის სავალდებულო დადგენილებანი;

ვ) მოაწყოს და ჩაატაროს საჭირო შემთხვევებში ისეთ ღონისძიებათა მეცნიერული ექსპერტიზა, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების ჩატარებასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვასთან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში;

ზ) შექმნას სამეცნიერო-ტექნიკური კომისიები და საექსპერტო ჯგუფები რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი საკითხების მოსამზადებლად და გადასაწყვეტად, მონაწილეობა მიიღებინოს მეცნიერებსა და სპეციალისტებს ამ კომისიებისა და საექსპერტო ჯგუფების მუშაობაში;

თ) მიიღოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან მოქმედი ანგარიშგების ფარგლებში მასალები, რომლებიც საჭიროა კომისიისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ი) მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები და თათბირები რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრობლემების განსახილველად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, თავმჯდომარის მოადგილეები, კოლეგიის წევრები და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობას გაუწევს კომისიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას, გამოსცემს კომისიის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე, მათ შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას; დაამტკიცებს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წესდებებს (დებულებებს); დანიშნავს და გაათავისუფლებს კომისიის ცენტრალური აპარატის და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

---

16 სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დაყენების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 916 დადგენილებისა „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 916 დადგენილება „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ" დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, სამინისტროებსა და უწყებებს.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას იმის პასუხისმგებლობა, რომ: განვითარდეს დარგთშორისი ტერიტორიული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია; შეიქმნას საცნობარო-საინფორმაციო ფონდები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით; საცნობარო-საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურება გაეწიოთ საწარმოებსა და დაწესებულებებს რესპუბლიკაში და გაუმჯობესდეს საცნობარო-საინფორმაციო ფონდების გამოყენება; მოეწყოს სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდა; გამოიცეს დადგენილი წესით საჭირო საინფორმაციო მასალები, მათ შორის გამოშვებულ იქნას საინფორმაციო გამოცემანი დარგების მიხედვით; განვითარდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოები სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში და უზრუნველყოფილ იქნას საინფორმაციო მასალების გამოყენება ამ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობაში.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს იმის პასუხისმგებლობა, რომ გაუმჯობესდეს მისი ქვესაუწყებო უნივერსალური ბიბლიოთეკების, პირველ რიგში საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-საინფორმაციო მუშაობა, ამასთან ფართოდ იქნას გამოყენებული ამ ბიბლიოთეკების ფონდები საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის საერთო სახელმწიფოებრივ სისტემაში; მომზადდეს და გამოიცეს ლიტერატურის რეგიონალური ნაკრები კატალოგები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში, განვითარდეს საბიბლიოთეკათაშორისო მომსახურების სისტემა და აღიჭურვოს აღნიშნული ბიბლიოთეკები მუშაობის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებით, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებით.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტთან შეთანხმებით, წარმოუდგინონ მიმდინარე წლის 15 აპრილისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული ღონისძიე-

ბანი, რომელთა მიზანია შეიქმნას და განვითარდეს 1967—1970 წლებში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემები, სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების ჩათვლით, მოეწყოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილებები (ბიუროები) მთავარ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში და დიდ საწარმოებში, აღიჭურვოს ინფორმაციის ეს ორგანოები თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, აგრეთვე განმტკიცდეს ისინი კვალიფიციური კადრებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ, სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ასიგნობათა და შტატების ფარგლებში 1967—1970 წლების გეგმების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებმა და ორგანიზაციებმა, 1968 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, აწარმოონ ქვესაუწყებო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა საგალდებულო რეგისტრაცია სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ საინფორმაციო ცენტრში, აგრეთვე წარუდგინოს აღნიშნულ ცენტრს ანგარიშები შესრულებული და დამთავრებული სამუშაოების შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ შექმნას რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკასთან ძირითადი ფონდი გამოგონებათა აღწერილობებისა საავტორო მოწმობებისა და პატენტებისათვის, სტანდარტებისა, მრეწველობის ნაკეთობათა საუწყებათაშორისო ნორმალებისა და ტექნიკური პირობებისა.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებმა და უწყებებმა სამი თვის ვადაში უზრუნველყონ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის რესპუბლიკური ორგანოების და სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების ერთობლივი საქმიანობის ერთიანი წესი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა აღმოიფხვრას პარალელიზმი მათს მუშაობაში და შეიქმნას საცნობარო-საინფორმაციო სამსახური ერთიანი საცნობარო-საინფორმაციო ფონდების საფუძველზე.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ნორმალური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, გაითვალისწინონ, რომ გამოყოფილ იქნას 1967—1970 წლებში სახსრები, აგრეთვე საჭირო ტექნიკა საინფორმაციო მასალების მომზადების, ძიებისა და გამრავლების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის განაცხადების თანახმად.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ და საპროექტო ინსტიტუტმა — „ქალაქმშენსახპროექტმა“ 1967 წელს დაამთავრონ რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობის

ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა იმ ანგარიშით, რომ მისი მშენებლობა დაწყებულ იქნას 1968 წელს.

10. თბილისის საქალაქო აღმასკომმა გამოძებნოს და 1967 წლის განმავლობაში დაუთმოს საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და პროპაგანდის ინსტიტუტს 200-300 კუბ. მეტრი ფართობის სადგომი, რომელშიაც დროებით ახალი შენობის აგებამდე მოთავსდება ინსტიტუტის საწარმოო-საგამომცემლო ბაზა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 10 თებერვალი, № 82.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 916

1966 წლის 29 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობისა და მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობა.

ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური ფორმაციის არსებული სისტემა არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის მართვის ახალ პირობებს და მეცნიერთა, სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა და სახელმწიფო ორგანოების მუშაკთა გაზრდილ მოთხოვნებს. დღემდე ცუდად არის მოწყობილი ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში წარმოებული სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და მათი შესრულების პროცესში მიღებულ ტექნიკურ გადაწყვეტათა შესახებ, ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ნაკეთობებისა და მასალების შესახებ, არ არის უზრუნველყოფილი ამომწურავი ინფორმაცია სამამულო

და უცხოეთის ლიტერატურული წყაროების შესახებ, განსაკუთრებით მშენებლობის, არქიტექტურის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ადგილი აქვს გაუმართლებელ პარალელიზმს ინფორმაციის ორგანოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების მუშაობაში. საინფორმაციო მასალების გამოცემის ვადები ჯერ კიდევ შეუწყნარებლად დიდია. ინფორმაციის ორგანოები სუსტად არიან აღჭურვილი საინფორმაციო მონაცემების მომზადების, ძიებისა და გაცემის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით.

ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ბევრი სამინისტრო და უწყება ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საქმეს და საინფორმაციო მასალების გამოყენებას საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპები, შეიქმნას მეცნიერთა, საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი შრომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭირო პირობები და უსწრაფესად იქნას გამოყენებული პრაქტიკულად სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს 1966—1970 წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის ძირეულად გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დროულ და სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატებებს მიაღწია სამამულო და უცხოეთის მეცნიერებამ და ტექნიკამ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ბაზაზე საინფორმაციო მასალების დაგროვებისა, დამუშავებისა, ძიებისა და გაცემის საქმეში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგობრივი სამსახურის განვითარებას, როგორც ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის საფუძველს, და ინფორმაციის სრულიად საკავშირო, დარგობრივი და დარგთშორისი ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების მუშაობაში არსებული პარალელიზმის აღმოფხვრისა და მათ შორის მოვალეობათა ზუსტად განაწილებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ:

სამინისტროებსა და უწყებებს — სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის შესაბამისი დარგობრივი სისტემების განვითარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირში და საზღვარგარეთ სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო მიღწევების დოკუმენტური მასალების დაგროვებას და მეცნიერულ დამუშავებას; იმისათვის, რომ გადიდდეს და დადგენილი წესით გამოიცეს ამ მასალების ოპერატიული (ექსპრესი), თარგმნითი და სამიმოხილველო ინფორმაცია, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა მიერ დამზადებული მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა, მანქანების, მე-

ქანიზმების, აპარატურის, ხელსაწყოების, მასალებისა და სხვა ნაგებობათა პროსპექტები და კატალოგები; სამამულო და უცხოეთის მასალებით საცნობარო-საინფორმაციო ფონდების დაკომპლექტებისათვის (მათ შორის პატენტებითა და სტანდარტებით), რომლებიც ახასიათებენ მოცემული დარგისა და ცალკეული საწარმოების მიღწეულ დონეს და განვითარების ტენდენციებს, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის ტექნიკურ დონეს; ცენტრალურ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საცნობარო-საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის; სსრ კავშირში და საზღვარგარეთ დარგისა და ცალკეულ წარმოებათა განვითარების პრობლემებზე ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების განხორციელებისა და მიმოხილვების მომზადებისათვის; სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების გაზიარების ორგანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მასალების გამოყენებისათვის საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებში;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხოლო რუსეთის სფს რესპუბლიკაში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს — ინფორმაციის დარგთშორისი ტერიტორიული ორგანოების (ინფორმაციის რესპუბლიკური ინსტიტუტების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ინფორმაციისა და პროპაგანდის ცენტრების) განვითარებისათვის; საცნობარო-საინფორმაციო ფონდების შექმნისათვის რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ეკონომიური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით; რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში საწარმოთა და დაწესებულებათა საცნობარო-საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის; სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის ორგანიზაციისა და საჭირო საინფორმაციო მასალების გამოცემისათვის დადგენილი წესით. ამის გარდა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის გაშლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში და იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საინფორმაციო მასალების გამოყენება ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობაში;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტს — საპატენტო მასალების დამუშავების უზრუნველყოფისათვის, მათი სასიგნალო ინფორმაციისა და მიმოხილვების გამოცემისათვის პატენტმცოდნეობისა და სადარგთშორისო საკითხებზე; სამამულო და უცხოეთის საპატენტო მასალების საცნობარო-საინფორმაციო მონაცემებით სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ოპერატიული მომსახურების მოწყობისათვის; საპატენტო ფონდების შექმნისა და სისტემატურად შევსებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის შესაბამის ორგანოებში და საპატენტო მასალების კლასიფიკაციის ხაზით გამოკვლევათა გატარებისათვის;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტს — სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარგში საცნობარო-საინფორმაციო მუშაობის ორგანიზაციისათვის, მათი სასიგნალო ინფორმაციის, აგრეთვე სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და განზომილების ტექნიკის საკითხებზე მიმოხილვების მომზადებისა და გამოცემისათვის; კლასიფიკაციისა და კოდირების ხაზით სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შესრულებისა და კოორდინაციისათვის; ნივთიერებათა და მასალების შესახებ სტანდარტული საცნობარო მონაცემების სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაციისათვის (ისე, რომ ჩაბმულ იქნან ამ მუშაობაში ინფორმაციის სრულიად საკავშირო, ცენტრალური დარგობრივი და რესპუბლიკური ორგანოები) და სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების ფონდების შექმნისა და სისტემატურად შევსებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის შესაბამის ორგანოებში;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს — საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში (გარდა მშენებლობისა და არქიტექტურისა, მედიცინისა და სოფლის მეურნეობისა) მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის საბიბლიოგრაფიო, რეფერატული და სამიმომხილველო ინფორმაციის მომზადებისა და გამოცემისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის პრობლემების შემუშავებისა და ამ დარგში სამეცნიერო გამოკვლევათა კოორდინაციისათვის;

სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს — მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის დარგში საბიბლიოგრაფიო, სარეფერატო და სამიმომხილველო ინფორმაციის მომზადებისა და გამოცემისათვის შესაბამისად — მშენებლობისა და არქიტექტურის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის დარგში;

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების ქვეყანაწყობ უნივერსალური ბიბლიოთეკების, პირველ რიგში ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, უცხოეთის ლიტერატურის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკის, აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ბიბლიოთეკების სამეცნიერო-საინფორმაციო მუშაობის სრულყოფისათვის იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ ბიბლიოთეკების ფონდების ფართოდ გამოყენება საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის საერთო სახელმწიფოებრივ სისტემაში, მათი მუშაობის კოორდინაცია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და სპეციალური ბიბლიოთეკების საქმიანობასთან; ტერიტორიული ბიბლიოთეკა-დეპოზიტარიების ქსელის შექმნისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებით; საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ლიტერატურის საერთო საკავშირო და რეგიონალური კრებსითი კატალოგების მომზადებისა და სისტემატურად გამო-

ცემისათვის (თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით); საბიბლიოთეკათშორისო მომსახურების სისტემის ყოველნაირად გაშლისა და იმისათვის, რომ აღჭურვილ იქნან აღნიშნული ბიბლიოთეკები მუშაობის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებით, აგრეთვე კავშირის საშუალებებით.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, ექვსი თვის ვადაში დაამტკიცონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა შეიქმნას და განვითარდეს 1967-1970 წლებში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ტერიტორიული ორგანოების დარგობრივი სისტემები და ქსელი, სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების ჩათვლით, მოეწყოს სამეცნიერო--ტექნიკური ინფორმაციის განყოფილებები (ბიუროები) მთავარ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებსა და დიდ საწარმოებში, აღიჭურვოს ინფორმაციის ეს ორგანოები ინფორმაციის მომზადების, ძიებისა და გაცემის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე განმტკიცდეს ისინი კვალიფიციური კადრებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ დასახული ღონისძიებანი 1967-1970 წლების ასიგნობათა და შტატების ფარგლებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაუგზავნოს სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგობრივი სისტემების აღნაგობის ტიპობრივი სქემები.

დაწესდეს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სრულიად საკავშირო, ცენტრალურ-დარგობრივ, რესპუბლიკურ და ტერიტორიულ ორგანოებს სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შექმნიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს: სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საქმის ხელმძღვანელობა ჩვენს ქვეყანაში; სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების კოორდინაცია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის პრობლემებზე; სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოებისადმი საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; ინფორმაციის სრულიად საკავშირო, დარგობრივი და დარგთშორისი ტერიტორიული ორგანოების ფუნქციების განსაზღვრა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან და

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად და მათი სქემატიკის დადგენა; ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების მუშაობის დადგენილი წესის დაცვისადმი კონტროლი და ამ ორგანოების წლიური საგამომცემლო გეგმების დამტკიცება.

4. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან ინფორმაციით დაინტერესებული ორგანიზაციები შესრულებული სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შესახებ, შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო ცენტრი, რომელსაც ექნება სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ანგარიშების მიკროფოტოასლების საერთო სახელმწიფოებრივი ფონდი.

დაეკისროს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ საინფორმაციო ცენტრს ჩვენს ქვეყანაში დამთავრებული და შესასრულებელი ღია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახელმწიფო რეგისტრაცია და აღრიცხვა, სასიგნალო ინფორმაციის სისტემატურად გამოცემა ამ ნაშრომებზე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშების ასლების მომზადება და გაცემა დადგენილი წესით სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მოთხოვნებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ, 1968 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, იმ სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების სავალდებულო რეგისტრაცია სრულიად საკავშირო სამეცნიერო ტექნიკურ საინფორმაციო ცენტრში, რომლებსაც ქვესაუწყებო ორგანიზაციები ასრულებენ, აგრეთვე შესასრულებელი და დამთავრებული სამუშაოების შესახებ ანგარიშების წარდგენა აღნიშნულ ცენტრში.

5. ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, როგორც გამონაკლისი, ააშენოს 1967-1969 წლებში ქ. მოსკოვში 10 ათასი კვ. მეტრი ფართობის შენობა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო ცენტრის მოსათავსებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1967-1969 წლების გეგმებით, რომ გამოეყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს კაპიტალური დაბანდებანი აღნიშნული შენობის მშენებლობისათვის.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოყოს სრულიად საკავშირო სამეცნიერო ტექნიკური საინფორმაციო ცენტრის შენობის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი ობიექტების აუღებლად და უზრუნველყოს ამ შენობის მშენებლობის სამუშაოთა შესრულება.

6. სამამულო სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის დარგში სარეფერატო ინფორმაციის მომზადების ვადების შემცირების მიზნით, შემოღებულ იქნას 1967 წლის 1 იანვრიდან, რომ აუცილებლად დაერთოს რეფერატები გამოცემულ პუბლიკაციებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყოს იმ საინფორმაციო მასალების (ბიბლიოგრაფიები, რეფერატები, მიმოხილვები, რაციონალიზატორულ წინადადებათა კრებულები და კატალოგები) დაბეჭდვა ქვესაუწყებო პოლიგრაფიულ საწარმოებში, რომლებიც უნდა გამოიცეს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად სამინისტროებისა და უწყებების განაცხადებით — ერთი თვის ვადაში, ხოლო 10 ნაბეჭდ ფურცელზე მეტი მოცულობის მიმოხილვებისა და კატალოგებისა — სამი თვის ვადაში;

ბ) უზრუნველყოს, 1967 წლიდან დაწყებული, უცხოეთის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალებისა და სხვა გამოცემების რეპროდუცირება იმ მოცულობით და იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 სექტემბრის № 755 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად.

8. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებების და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, 1967-1968 წლების განმავლობაში შექმნან სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკურ ინსტიტუტებთან და ტერიტორიულ ცენტრებთან ფონდები გამოგონებათა აღწერილობებისა საავტორო მოწმობებისა და პატენტებისათვის, სტანდარტებისა, მრეწველობის ნაკეთობათა საუწყებათაშორისო ნორმალებისა და ტექნიკური პირობებისათვის იმ ანგარიშით, რომ საამისო ხარჯები გაწეულ იქნას იმ სახსრებიდან, რაც ამ მიზნებისათვის გამოეყოფათ ინფორმაციის აღნიშნულ ორგანოებს.

ამის გამო, არ შეიქმნას აღნიშნული მასალების საცნობარო-საინფორმაციო ფონდები სხვა ორგანიზაციებში.

9. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სამი თვის ვადაში დაამთავრონ მუშაობა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებისა და სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების ერთობლივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ამასთან მიიღონ მხედველობაში, რომ საჭიროა აღმოიფხვრას პარალელიზმი მათ მუშაობაში და შეიქმნას საცნობარო-საინფორმაციო სამსახური ერთიანი საცნობარო-საინფორმაციო ფონდების საფუძველზე.

10. შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან სპეციალური, სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების საქმიანობის კოორდინაციის საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დაეკისროს ამ ბიბლიოთეკების მუშაობის საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა, რეკომენდაციების შემუშავება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესება, სპეციალური, სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების რაციონალურად დაკომპლექტება, საბიბლიოთეკო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა დანერგვა, აგრეთვე აღნიშნული ბიბლიოთეკებისათვის კადრების მომზადების გაუმჯობესება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის კულტურის საძინისტროსთან შეთანხმებით, დაამტკიცოს დებულება სპეციალური, სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების საქმიანობის კოორდინაციის საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ და მისი შემადგენლობა.

11. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების საძინისტროსთან, რადიომრეწველობის საძინისტროსთან, თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროსთან, გემთმშენებლობის მრეწველობის საძინისტროსთან, საავიაციო მრეწველობის საძინისტროსთან და საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში განიხილოს იმის საკითხი, რომ დამზადდეს 1968-1970 წლებში მოწყობილობა და სხვა ტექნიკური საშუალებანი საძეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და ძიების მექანიზაციისათვის და გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის გეგმებით ათი დამზადება იმ მოცულობით, რაც საჭიროა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებისათვის.

12. დაეკისროს ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს ტექნიკური საშუალებებისა და სისტემების დაპროექტება, წარმოება, მონტაჟი და აწყობა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დამუშავებისა, შენახვისა და ძიებისათვის.

13. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

ა) უზრუნველყონ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სრულიად საკავშირო, ცენტრალური დარგობრივი, რესპუბლიკური და დარგთშორისი ტერიტორიული ორგანოები და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურები საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში საინფორმაციო მასალების მომზადების, ძიებისა და გამრავლების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო მოწყობილობით, ხელსაწყოებითა და აპარატებით, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 1 აგვისტოს № 843 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხისა, აგრეთვე საჭირო სამსახურებრივი და საწარმოო სადგომებით;

ბ) გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის გამოთვლითი ცენტრებისა და ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება-მშენებლობის დროს საჭირო გამოთვლითი სიმძლავრეებისა და საწარმოო ფართობების შექმნა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემებისათვის.

14. ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას განახორციელონ 1968-1969 წლებში 15 ათასი კვ. მეტრი ფართობის მიშენება სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის შენობაზე — ქ. მოსკოვში უსიევიჩის ქუჩაზე.

15. ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მოაწყონ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური დარგობრივი ორგანოების ძალებით ოპერატიული კინოინფორმაციის გამოშვება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული თემატიკის მიხედვით და ფართოდ გამოიყენოს იგი იმისათვის, რომ დროზე გაეცნონ მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შედეგებს, ახალ საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ დამუშავებებს, აპარატებს, მანქანებსა და მასალებს, შრომის ორგანიზაციის ყველაზე სრულყოფილ ფორმებსა და მეთოდებს, უმნიშვნელოვანეს გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს, წარმოებაში მათი უსწრაფესად დანერგვის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა საჭირო დახმარება გაუწიოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური დარგობრივი ორგანოების კინოლაბორატორიების დასაკომპლექტებლად საჭირო კინოტექნოლოგიური მოწყობილობისა და მასალების გამოყოფაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული სიის მიხედვით და იმ მხრივ, რომ მოეწყოს მათ ბაზაზე სამეცნიერო-საკვლევი კინოდოკუმენტაციისა და ოპერატიული კინოინფორმაციის დამუშავება და ტირაჟირება.

16. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა სია, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

17 იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ 1967 წელს საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საცხოვრებელი ფართობი საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს

მშენებელთა მუდმივი კადრების შექმნისა და სამშენებლო ორგანიზაციებში მათი შენარჩუნების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები 1967 წელს ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან იმ სახლებში, რომლებიც მათ ააშენეს თავიანთი მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

2. დაევალოთ შემკვეთებს (სამინისტროებსა და უწყებებს) გადასცენ ყველგან საქართველოს სს რესპუბლიკაში 1967 წელს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებელთა ჩასასახლებლად საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ აშენებულ სახლებში, ხოლო მთავართბილმშენს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტს — ქ. თბილისსა და რუსთავში აშენებული ფართობიდან საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 5 პროცენტი, გარდა საცხოვრებელი ფართობისა საერთო საცხოვრებლებში, სასწავლებლებში, პროფტექნიკური განათლების სკოლებში, საბჭოთა მეურნეობებში, სახაზო საექსპლუატაციო პერსონალის სახლებში, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებით აშენებულ სახლებში, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული საცხოვრებელი ფართობის ნაწილი გამოუყონ პროპორციულად სუბმოიჯარე სამონტაჟო ორგანიზაციებს ამ ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფაქტიური რაოდენობის გათვალისწინებით.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საცხოვრებელი ფართობის განაწილება წარუდგინონ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 14 თებერვალი. № 87.

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, — შემდეგი პუნქტები:

„75. მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის საცხოვრებელი სახლები.

76. ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საცხოვრებელი სახლები.

77. ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საცხოვრებელი სახლები.

78. ციხისძირის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის საცხოვრებელი სახლები.

79. ურეკის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 14 თებერვალი, № 88.

19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარი სამმართველოს („საქმთავარხილბოსტანდამზადების") დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარი სამმართველოს („საქმთავარხილბოსტანდამზადების") შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 14 თებერვალი, № 90.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 14 თებერვლის № 90
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარი სამმართველოს („საქმთავარხილბოსტანდამზადების") შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარი სამმართველო — „საქმთავარხილბოსტანდამზადება", შექმნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 2 თებერვლის № 61 დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს სამეურნეო ანგარიშის სპეციალიზებულ რესპუბლიკურ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

თავის საქმიანობაში „საქმთავარხილბოსტანდამზადება" ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადების" მთავარი ამოცანებია:

ა) დაამზადოს საბჭოთა მეურნეობებში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 თებერვლის № 76 დადგენილების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისით) და კოლმეურნეობებში, შეისყიდოს მოსახლეობისაგან თესლოვანი, კურკოვანი, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული, გარეული ხილი და კენკრა, კაკალი, კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები საქართველოს სსრ ყველა რაიონში;

ბ) გადაამუშაოს ხილი და ბოსტნეული (კონსერვი, წვენი, დაწნილება, დამჟავება და სხვ.);

გ) აწარმოოს ახალი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის საბითუმო ვაჭრობა დაწესებული ფონდების მიხედვით, აგრეთვე მიაწოდოს ეს პროდუქტები საერთო-საკავშირო ფონდში;

დ) შემოზიდოს რესპუბლიკაში კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული სარესპუბლიკათაშორისო მიწოდებათა ფონდებით;

ე) აწარმოოს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და კონსერვის საცალო ვაჭრობა ქალაქ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, გაგრაში, წყალტუბოში, სოხუმსა და ბათუმში სპეციალიზებული (საფირმე) მაღაზიების მეშვეობით, აგრეთვე ამ პროდუქტების წვრილსაბითუმო ვაჭრობა ქალაქ თბილისსა და რუსთავში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის

მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადებას“ სათავეში უდგას მთავარი სამმართველოს უფროსი. მთავარ სამმართველოს უფროსს და უფროსის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადების“ უფროსი ხელმძღვანელობს მთავარ სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მთელ საქმიანობას და ამის შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ბ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტებს დადგენილებებისა და განკარგულებებისა საქართველოს სს რესპუბლიკაში ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

გ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, შეამოწმებს და უზრუნველყოფს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადების“ უფროსის მიერ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის საკითხებზე გამოცემული ბრძანებები და ინსტრუქციები სავალდებულოა მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა, საწარმოსა და სამეურნეო ერთეულებისათვის;

დ) დაამტკიცებს მთავარ სამმართველოს დარგობრივი, ფუნქციონალური სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს, მთავარ სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ერთეულების დებულებებსა და წესდებებს;

ე) დანიშნავს და თანამდებობიდან დაითხოვს მთავარ სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე მთავარ სამმართველოს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს;

ვ) დაუნიშნავს ხელფასის პერსონალურ დანამატებს მთავარ სამმართველოს ცენტრალური აპარატის და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს პერსონალური განაკვეთების იმ ლიმიტებისა და ოდენობის ფარგლებში, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ;

ზ) გააუქმებს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ბრძანებებს და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენი-

ლებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადების“ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს გეგმების შედგენას საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

შეიმუშავებს ხილბოსტნეულის პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, კაპიტალური მშენებლობის, შრომის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების, მთავარ სამმართველოს სისტემის საფინანსო გეგმების საფუძველზე, რომლებსაც საწარმოები და ორგანიზაციები შეადგენენ;

ი) დადგენილი წესით განიხილავს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მიხედვით და დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ახალ მშენებლობათა ან რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოთა სატიტულო სიებს (ნუსხებს);

კ) დადგენილი წესით დაამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვლის სამშენებლო ობიექტებისა და მათ სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებათა საპროექტო დავალებას;

ლ) მიიღებს ზომებს მშენებლობის ვადების შეკვეცისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე საპროექტო სამუშაოთა გაიაფებისა და გაუმჯობესებისათვის, ტიპობრივი პროექტების მაქსიმალურად გამოყენებისათვის;

მ) დადგენილი წესით შექმნის ცენტრალურ ფონდებს და განაგებს ამ ფონდებს;

ნ) განსაზღვრავს კაპიტალდაბანდებათა მოცულობას და დაფინანსების წყაროებს მთავარ სამმართველოს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით;

ო) სისტემატურ კონტროლს გაუწევს იმას, რომ სამმართველოებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა შეასრულონ სამეურნეო გეგმები, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი, დაიცვან სახელმწიფოებრივი დისციპლინა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, სწორად გამოიყენონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ძირითადი და საბრუნავი ფონდები;

პ) მისცემს დასკვნებს ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტების გამო და მონაწილეობას მიიღებს ზემოაღნიშნული პროდუქტების შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პროექტების შემუშავებაში;

ჟ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ან დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარადგენს ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის, საწარმოო მარაგის ხარჯვის ნორმებს, მიიღებს ზომებს მათ დასანერგავად წარმოებასა და მშენებლობაში, განახორციელებს კონტროლს დამტკიცებული ნორმების შესრულებისადმი;

რ) მიიღებს ზომებს იმისათვის, რომ ამაღლდეს სამმართველოში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში ეკონომიური მუშაობის დონე, გაუმჯობესდეს წარ-

მოების ორგანიზაცია, შრომის ნორმირება და ანაზღაურება, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობა; შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, აგრეთვე განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში და გაძლიერდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა რენტაბელობა;

ს) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას მთავარ სამმართველოს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ტ) განახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებისადმი, გააანალიზებს ბალანსებს და დადგენილი წესით წარადგენს შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშებს „საქმთავარხილბოსტანდამზადების“ მთავარ სამმართველოს ყველა დარგის მიხედვით.

საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე განიხილავს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მიიღებს საჭირო ზომებს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

უ) ჩაატარებს მთავარ სამმართველოს სისტემის ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საკუთრების დაცვა-შენახვას ამ ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებში;

ფ) ხელმძღვანელობას გაუწევს მთავარ სამმართველოს სისტემისათვის კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ქ) შეიმუშავებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს და უსაფრთხობის ტექნიკის ღონისძიებებს მთავარ სამმართველოს ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

ღ) მოამზადებს გამოსაცემად ლიტერატურას ხილბოსტნეულის დამზადებისა და რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის საკითხებზე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადებას“ უფლება ენიჭება:

ა) შეიტანოს საჭიროების დროს ცვლილებანი წლიურ და კვარტალურ სამეურნეო გეგმებში მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით, იმ მაჩვენებლების შეუცვლელად, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მთლიანად მთავარ სამმართველოსათვის;

ბ) შექმნას რეზერვი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად:

— დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ხარჯზე მთავარ სამმართველოს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის 3 პროცენტამდე ფარგლებში;

— ზეგეგმითი მოგების ხარჯზე (მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ოდენობით);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაანაწილოს საჭირო შემთხვევებში ნედლეულისა და მასალების ფონდები და შეიტანოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დამტკიცებულ გეგმებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დაზუსტებანი;

დ) აძლიოს დავალებანი და განახორციელოს კონტროლი მთავარ სამმართველოს დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე მათთვის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სწორად და დროულად მიცემისადმი;

ე) შექმნას, გარდაქმნას და გააუქმოს დადგენილი წესით მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე შეცვალოს საჭირო შემთხვევებში მათი დაქვემდებარება;

ვ) აძლიოს დავალებანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს ჩამოწერონ სახსრები მთავარ სამმართველოს სისტემის იმ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ანგარიშებიდან, რომლებიც თავის დროზე არ ეწევიან სახსრების გადარიცხვას გეგმით გათვალისწინებული ცენტრალიზებული ღონისძიებებისათვის;

ზ) აწარმოოს აპარატის მუშაკთა გაგზავნა მივლინებაში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნება კოლეგია მთავარ სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მთავარ სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ქვესაუწყებო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის ძირითად საკითხებს, მთავარ სამმართველოს უფროსის და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მთავარ სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

მთავარ სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მთავარ სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადების“ აპარატის სტრუქტურას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა — მთავარ სამმართველოს უფროსი მთავარ სამმართველოსათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადება-რეალიზაციის მთავარ სამმართველოს — „საქმთავარხილბოსტანდამზადებას“ აქვს შტამპი და ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

---

20 „ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის № 762 დადგენილების დამატების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის № 762 დადგენილებისა „ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის შესახებ“, დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბაღჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას იმ დაფნის ფოთლისა და სუფრის ჯიშის ყურძნის ხარისხის კონტროლი და სათანადო სერთიფიკატების გაცემა, რომლებიც მზადდება საქართველოს სს რესპუბლიკაში და იგზავნება როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ეს დამატებანი შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბაღჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 30 ივნისის № 393 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 21 თებერვალი, № 98.

21 მერქნის ძირზე გაცემის წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 იანვრის № 69 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ 1967 წლის 1 ივლისიდან მერქანი ძირზე საკოლმეურნეო ტყეებიდან მიეცემათ:

ა) მოცემულ კოლმეურნეობას — საზოგადოებრივი საჭიროებისათვის — უფასოდ;

ბ) მოცემული კოლმეურნეობის წევრებს — იმ მერქნის ნიხრის მიხედვით, რომელიც ძირზე გაიცემა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან — 50 პროცენტის ფასდაკლებით, ხოლო ამ კოლმეურნეობის წევრებს საცხოვრებელი სახლების და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობისათვის ან რემონტისათვის, როდესაც კოლმეურნის მეურნეობა სტიქიური უბედურების გამო დაზარალდა, — უფასოდ;

გ) ყველა სხვა ხე-ტყის დამამზადებელს და ცალკეულ მოქალაქეს — იმ მერქნის ნიხრის მიხედვით, რომელიც ძირზე გაიცემა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკოლმეურნეო ტყეების განაწილება სატყეო-სანიხრე თანრიგების მიხედვით.

3. დაწესდეს, რომ ცალკეულ მოქალაქეებს მერქანი ძირზე სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან მიეცემათ ხე-ტყის დამამზადებლებისათვის დაწესებული ნიხრის მიხედვით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ დასამტკიცებლად არაძირითადი ტყის ჯიშების ძირზე გასაცემი მერქნის ნიხრი, აგრეთვე ნიხრი იმ ზარალის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რომელიც მოსახლეობამ მიაყენა ტყეს უკანონო ჭრით ან დაზიანებით (ზრდის შეწყვეტის ოდენობამდე) იმ ანგარიშით, რომ ეს ნიხრი შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1967 წლის 1 ივლისიდან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების განაწილება სატყეო-სანიხრე თანრიგების მიხედვით, აგრეთვე იმ რაიონების ნუსხა, რომლებშიაც მერქანი ძირზე უნდა გაიცეს ფასდაკლებით, მერქნის ნიხრის შესაბამისად;

ბ) ორი თვის ვადაში მოახდინოს სატყეო შემოსავლის, კერძოდ საძირკვო გადასახდელის, გადაანგარიშება და წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ცვლილებათა შესატანად რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის ბალანსებში.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 იანვრის № 69 დადგენილებით:

I. სსრ კავშირის ტყეებში ტყის ძირზე გაცემის იმ წესების 44 პუნქტის პირველი აბზაცი, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 29 ივნისის № 1220 დადგენილებით, ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„44. ძირზე ხე-ტყის გაცემის საძირკვო გადასახდელი გადახდებათ ხე-ტყის დამამზადებლებს:

ა) ძირითადი ტყის ჯიშების მერქნისათვის — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ნიხრის მიხედვით;

ბ) ყველა სხვა სატყეო ჯიშის მერქნისათვის — იმ ნიხრის მიხედვით, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დაამტკიცებენ“.

II. ძალადაკარგულად ითვლება:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 სექტემბრის № 948 დადგენილება „ძირზე გასაცემი მერქნის ახალი ნიხრის დამტკიცების შესახებ“;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 აგვისტოს № 651 დადგენილება „ძირზე გასაცემი მერქნის ახალი ნიხრის შემოღების და სსრ კავშირის ტყეების სატყეო-სანიხრე ზოლების მიხედვით განაწილების ვადის შეცვლის შესახებ“.

III. დადგენილია, რომ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 დეკემბრის № 1244 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხით, ძალადაკარგულად ითვლება 1967 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 24 თებერვალი, № 101.

22 პამიდორისა და თვის ბოლოკის შესასყიდი ფასების შემცირების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 აპრილის № 249 დადგენილების დანართისა „იმ ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან და ჩააბარებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სს რესპუბლიკაში“, — დაწესდეს წითელი პამიდორის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე— 250 მან. ტონაში და თვის ბოლოკისა 1 მაისიდან ნოემბრამდე ჩათვლით — 200 მანეთი ტონაში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „საქმთავარხილბოსტანდამზადების“ მთავარ სამმართველოს 1967 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 24 თებერვალი, № 102.

23 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, — შემდეგი პუნქტები:

„80. საოკეანო თევზჭერის საქართველოს სამმართველო (ქ. ფოთი) და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები.

82. სახელმწიფო თევზჭერის ბათუმის ბაზა (ქ. ბათუმი).
83. სოხუმის თევზკომბინატი (ქ. სოხუმი).
84. სოხუმის გემთშემკეთებელი ტექნიკური სადგური (ქ. სოხუმი)".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 27 თებერვალი, № 117.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1967 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV-1967 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108/16
ქაღალდი 17000. ნაბეჭდი თაბახი 6,75. სააღრიცხვო თაბახი 7,0.

თარგმნილია რუსულიდან.

შეკვეთა 403 ტირაჟი 2660

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲜᲚᲘᲜᲘ — 76187